

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დროშა

აპრილი
№ 4
1974 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



გაზაფხულის ექო. ფოტოეტიუდი ზ. დათუაშვილისა.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# დროშა

№ 4 (448). აპრილი. 1974 წ.

გამოცემის წელი 51-ე.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

© „დროშა“. 1974







გარეკანის პირველ გვერდზე: ვ. ი. ლენინი. მხატვარი ზ. ლეჟავა.

მთავარი რედაქტორი რევაზ მარგიანი.

სარედაქციო კოლეგია: გ. ბახტაძე, თ. ბოგოლაძე (პ/მგ. მდივანი), ს. დურმიშიძე, ლ. კალანდაძე, ვ. კიკნაძე, ა. კუსრაშვილი, ა. მინდაძე, გ. ნატროშვილი, დ. ნოდია (მხატვარი-რედაქტორი), ი. ტაბაღუა, უ. ჯაფარიძე.

ტექრედაქტორი დ. სეფიაშვილი.
კორექტორი ტ. თაბორიძე.

# ხალხი უმღერის ლენინს

## ლენინის ანდერძს მივყვებით

ლენინის ანდერძს მივყვებით,
მისი დიდი მზის ნაშუქარს,
ეს სიხარული, ხალისი
დიდმა ლენინმა გვაჩუქა.
ლენინის ანდერძს ვასრულებთ,
მის დიად აზრებს მივყვებით,
სხივებად მიმობნეულა
მისი უკვდავი სიტყვები.
ლენინის ანდერძს ვასრულებთ,
ის იყო სხივთა მთესავი,
სამშობლო ცამდე ვამაღლოთ,
ჩვენი მიზანი ეს არის!
ვინც ჩვენთან ძმობა ისურვა,
ძმად და მეგობრად ვჭიცანით.
ძმები ვამრავლოთ, ვახაროთ,
ეს არის ჩვენი მიზანი.
ლენინის ანდერძს მივყვებით,
მისი დიდი მზის ნაშუქარს,
ეს სიხარული, ხალისი
დიდმა ლენინმა გვაჩუქა.

მთქმელი გ. დეკანოიძე
საჩხერე, სოფ. მერჯევი.

## ლენინის საქმეს დიდება

ლენინი ჩვენი მტრებისთვის
ტყვიაა გულზე სახალი,
ჩვენთვის კი სიხარულია,
ლხენაა მარად ახალი.
რა ძალა ჰქონდა, რა აზრი,
რა ნებისყოფა ურღვევი,
რომ ვერ გატეხა მტრის რისხვამ,
დარჩა ბოლომდე ურყევი.
ლენინის ანდერძს ასრულებს
ჩვენი დიადი პარტია,
ის ჩაგრულ ხალხის იმედად
შუქურასავით ანთია.
ლენინის სახელს ატარებს,
ლენინის აზრით ინთება,
ლენინურ გზაზე მავალი
იყო, არის და იქნება.
ლენინის სახელს დიდება,
ლენინის საქმეს დიდება,
შუქდაუვალი მისი მზე
ხვალ ყველგან ამობრწყინდება.

მთქმელი ზ. ჩხაიძე
ლანჩხუთი, სოფ. აცანა.

## ამას ამბობდა

ლენინი მუდამ გვახარებს,
როგორც მზე ამომავალი,
ბევრი ვიბრძოლეთ, ვიშრომეთ,
კვლავ საქმე გველის მრავალი,
არ მოვადუნოთ მარჯვენა,
აი, რა არის მთავარი.
მოყვარე ყველგან ვახაროთ
და შევარცხვინოთ მტარვალი,
ბაღნარად უნდა ვაქციოთ
ყველა ხევი და ტრამალი.
ყოველდღიურად ვამოკლოთ
გზა დიდ მიზნამდე სავალი.
ამას ამბობდა ლენინი,
ჩვენი მზე — ამომავალი.

მთქმელი ნ. ჩიტაძე
საჩხერე, სოფ. ჭალა.

## დიდმა ლენინმა

ბელადმა დიდმა ლენინმა,
პირი გასინჯა ხმლისა,
მჩაგვრელებს შემოუთვალა:
— რისხვა გატყდებათ ღვთისა.
გაიყოლია მშრომელნი,
ვეშაპი დასცა ძირსა,
მტერს მისცა შავი სამარე,
ჩვენ შუქი მოგვცა მზისა.

მთქმელი ნ. ბიბაური
თიანეთი, სოფ. ვერხველი.

ლექსები ჩაწერა ნოდარ შამანაძემ.

საქ. სსრ კ. მარქსის ... ბიბლიოთეკა

# ЛЕНИН



# მარად ლენინთან ერთად

თენგიზ გოგოლაძე

მხატვარი თენგიზ სამსონაძე

თავისუფლებაზე ადრე ლენინის სახელი შემოვიდა საქართველოში, რაჭის პატარა სოფელ ცხმორშიც შეიტანა სითბო და იმედი.

როცა ჩრდილოეთ კავკასიიდან დაძრული წითელი ლაშქარი მამისონის უღელტეხილს მოადგა, ცხმორელმა მამაკაცებმა ნამქერებით ჩაჩუმქრულ გზებს მიაშურეს, ორწოხებში ბილიკებსაც კი უხუფთავებდნენ წითელ მებრძოლებს, რომლებსაც ქართველი მშრომელი კაცისათვის თავისუფლება, პური და მომავლის დიდი იმედები მოჰქონდათ.

სოფელში ხმა გავარდა: წითელ არმიას წინ დიდი ლენინი მოუძღვებაო.

შეიძრა დიდი და პატარა. და აბა, ასეთ დროს შინ რა გააჩერებდა თექვსმეტი წლის ერმალო კობერიძეს. ბევრი დაუშალეს, ამ ზამთარში სად მიხვალო, მაგრამ მაინც თავისი გაიტანა და მამაკაცებს თავის ორ ბიძაშვილთან ერთად აედევნა. იყო რაღაც ზღაპრული, ბავშვურიც, ჭაბუკურიც. ბიჭებს სისხლი უდუღდათ, გრძნობდნენ, რომ ცხოვრებაში დიდი რამ ხდებოდა.

მოდი და დაჯექი შინ. შინ კუტიც კი ვერ გაძლებდა. ბიჭები ზემო-ზემოთ მიიწევდნენ უღელტეხილისაკენ და უკვე ესმოდათ ლეგენდარული მეომრების ხმლერა და ცხენთა ჭიხვინი.

აქამდე თუ მალულად უმზერდნენ ლენინის სურათს, ბიჭები ახლა ცოცხლად დაინახავდნენ. ერმალოს წითლების ბელადი ყველაზე ლამაზ ბედაურზე ამხედრებული წარმოედგინა. ლენინს ცალ ხელში თავისუფლების დროშა უჭირავს, მეორეში ანთებული ჩირაღდანი. მოდის მძლეთამძლე კაცი და ამ ჩირაღდნით მოანათებს საუკუნეობით გამეფებულ წყვდიადს.

ფეხები დააძრათ ბიჭებს, ყინვამ მოუჭირა. გზიდან რამდენჯერმე იფრინეს მამაკაცებმა, მაგრამ ერმალოს სოფელში ისე რა ჩამოიყვანდა, სანამ იმ მეწინავე მხედარს არ დაინახავდა წითელი დროშითა და ჩირაღდნით ხელში.

მალე მართლაც გამოჩნდა წითელდროშიანი მხედარი. მთის ნიავს აფრიალებით გაეშალა დროშა და თითქოს ამ აფრის ძალით ორწოხებში მოედინებოდა ლაშქარი.

თვალები ლამის გადმოუცვივდა ყმაწვილ ერმალოს, როცა წარმოდგენილი ცხადლივ აუხდა. მაგრამ სავალალო ის იყო, რომ მეწინავე მხედარი, რომელსაც უზანგზე დამაგრებული დროშა ეჭირა, სულ არა ჰგავდა ვლადიმერ ლენინს.

შემხვედრნი და მოსულნი ერთმანეთს ძმურად გადაეხვივნენ, გულჩვილთ ცრემლიც კი მოერიათ თვალებში. მხედრებით გაივსო გზა. მთებმა მამაკაცთა შეძახილები გაიმეორეს. ერმალო კი სურათით ნაცნობ სახეს ეძებდა.

ერთ ჩამოქვეითებულ წითელარმიელს წაბლისფერი ცხენი მოჰყავდა. მხედარს თავზე ძაბრისმაგვარი ბუდიონური ქუდი ეხურა, ქუდზე წითელი ნაჭრის ქიმებგაჩაჩხული ვარსკვლავი ეკეთა.

წითელარმიელმა ბიჭებს გაუღიმა.

— სად არის ლენინი? ჩვენ ლენინის ნახვა გვინდა! — სული ძლივს მოითქვა აღმართში დაღლილმა ერმალომ.

— ლენინი? — კიდევ უფრო გაებადრა სახე წითელარმიელს, მაგრამ მის თვალებში გაკვირვებაც გამოიხატა, რასაც უცებ მიუხვდა ერმალო.

— ლენინს აქ რა უნდა, ლენინი მოსკოვშია, მსოფლიო რევოლუციის საკითხებზე მუშაობს.

— ეე, ზახარ, ბავშვები ჩაიგდე ხელში და ბაქიობ? — მჭიდი წამკრა მეორე წითელარმიელმა, — შენ რა იცი, ახლა რაზე მუშაობს ილიჩი?

— ვიცი! — ჯიუტად შეუტია ზახარმა ამხანაგს, — სულ ცოტა ხანში შინაურ საქმეებს მოვაგვარებთ და მსოფლიო რევოლუციაზე გადავალთ. მჯერა, რომ ვლადიმერ ილიჩი ამ საკითხებს ამუშავებს. შენ თუ არ გჯერა, შეაყოლე, მეგობარო!

. მეგობარს რაღა დარჩენოდა, ბიჭებს თავზე გადაუსვა ხელი და განზე გადგა. ალბათ, ზახარი ცამდე მართალი იყო, რომ ასე მალე დაუთმო ამხანაგმა. მოეწონათ ბიჭებს ეს წითელარმიელი და ფეხდაფეხ გამოჰყვნენ. ერმალოს ერთი სული ჰქონდა, ხელში დაეჭირა მისი ხიშტიანი თოფი. თავზე დაეხურა წითელვარსკვლავიანი ბუდიონური ქუდი. მოდიოდა ჯარისკაცი ამაყად, თან მოჰქონდა გარდასული ბრძოლების გუგუნი. ის ლენინის ჯარისკაცი იყო. ამ ჯარისკაცმა იცის, სად არის ახლა ლენინი, რას ფიქრობს იგი, რას აკეთებს. უნახავს და ულაპარაკია მასთან. აი ბედნიერი კაცი!

ბედნიერი და სხვებისთვის ბედნიერების მიმტანი. სულ ახალგაზრდაა და რამდენი რამ შეძლებია! სხვა უკეთესი კაცმა რა უნდა ისურვოს, იქნებ მეც ჩამრიცხონ ასეთ ლაშქარშიო, ინატრა ერმალომ. თავისი გულის ფიქრი რომ გაანდო ჯარისკაცს, მან მეშტრის მზერით შეათვალიერა და ჰკითხა:

— რამდენი წლისა ხარ?

— თექვსმეტისა.

— ჩვიდმეტისას მიგიღებენ, ერთი წელიწადი უნდა მოიცადო. მერე ისწავლე, ძმობილო, წინ მსოფლიო რევოლუციის საქმე გვაქვს მოსაგვარებელი.

საუბარში შეჰყვნენ და ამ ჯარისკაცისგან შეიტყო, ერმალომ, რომ იმხანად ქალაქ გროზნოში მეთაურთა ერთწლიანი კურსები იყო გახსნილი...

...ერმალო შინ აღარ დაბრუნებულა. თავის ბიძაშვილებთან ერთად მშიერ-მწყურვალმა ძლივძლივობით ჩააღწია გროზნოში. აქ ბიძაშვილებს ქოლერა შეხვდათ და ორივენი იმსხვერპლა ამ სენმა. მარტოდმარტო დარჩა ერმალო ღვთისა და ბედის ანაბარად. მაგრამ კეთილ კაცს რა გამოლევს ამ ქვეყანაზე! ის კეთილი კაცი ქუჩაში მოხეტიალე ყმაწვილს თითქოს განგებ გამოეცხადა. ქართველი იყო, ქალაქის რევკომის წევრი. ჯერ ერთი რბილად შეახურა ერმალო, მერე დაჰკითხა, რა გინდოდა, გროზნოში რამ ამოგიყვანაო. როცა მისი გულის სურვილი შეიტყო, მოჰკიდა ხელი და ყმაწვილკაცი იმ კურსებზე მიიყვანა, სადაც ერთ წელიწადში უმცროს მეთაურებს ამზადებდნენ. ერმალოს არავითარი საბუთი არ გააჩნდა. იმ ღვთისნიერი რევკომელის სიტყვას ენდნენ. ბიჭი გასინჯეს, გამოსცადეს, დაჰკითხეს და კურსებზე მიიღეს. მასთან ერთად ჩაირიცხნენ ორი ქართველი ჭაბუკი ბურდილაძე და ბაკურაძე.

ორიოდე თვეც არ იყო გასული, კურსები დაიშალა და ბიჭები ვლადიკავკაზში გაგზავნეს სხვა კურსებზე. მისაღებ გამოცდებზე ბაკურაძე ჩაიჭრა. იმ დღის მერე აღარც უნახავთ იგი კობერიძეს და ბურდილაძეს. საიდან სად წამოსულან ბიჭები, გაჭირვების რა ცეცხლი არ გამოუვლიათ და ახლა გამომცდელებს რომ ჩაეჭრათ, ვინ იცის, რა ეწეველებოდათ! ეს ხომ ბრძოლის ველიდან გაქცევას უდრიდა. როგორღა დანახვებოდნენ თავისიანებს! ბაკურაძეს ნებისყოფამ უღალატა, წიგნს ვერ ჩაუჯდა, სამხედრო საქმეს ალღო ვერ აუღო. კობერიძემ და ბურდილაძემ კი დღე და ღამე გაასწორეს და არც გამომცდელებთან შეირცხვინეს თავი. მაგრამ დახეთ ბედის ჩარხს! ვისთვის როგორ ტრიალებს, ვისთვის კი როგორ. ვლადიკავკაზის სამხედრო კურსებიც დაიშალა. დერეფანში გამოაკრეს ცნობა, რომ ამიერიდან მოსკოვსა და ჩვენი ქვეყნის რამდენიმე ქალაქში მეთაურთა სამხედრო სასწავლებლები ყალიბდებოდა.

სამანდატო კომისიაზე ერმალო კობერიძეს ჰკითხეს:

— საით გსურთ გამგზავრება?

— მოსკოვში, — იყო პასუხი.

— რატომ მაინცდამაინც მოსკოვში? — იკითხა ერთ-ერთმა წევრმა.

ერმალო არ მოელოდა ასეთ შეკითხვას და მაშინვე დაუფიქრებლად მიუგო:

— ლენინთან ახლოს ვიქნები. ჩემთვის ასე უკეთესია. მინდა ვნახო ლენინი. იქ რომ ვიქნები, ალბათ ვნახავ... — თვალებში სიხარულის სხივი ჩასდგომოდა ჭაბუკს. შორეული სივრცეები იტაცებდა, უსასრულო ტრამალებს იქით იყო მოსკოვი, კრემლი, ლენინი. გული გამალებით უცემდა და ცოტა არ იყოს დაძაბულადაც შეჰყურებდა სამანდატო კომისიის ერთ-ერთ წევრს, რომელიც საბუთებს ავსებდა. და აი, მან ერმალო კობერიძეს მისცა საგზური: „მოსკოვი, კრემლი, ცაკ-ის სახელობის პირველი გაერთიანებული სამხედრო სკოლა".

* * *

სკოლა კრემლში იყო.

ბიჭებმა ორკვირიანი კარანტინი გაიარეს. ახალ ბედა კურსანტებთან სასწავლებლის უფროსკურსელები მოდიოდნენ. ბიჭები გატაცებით უსმენდნენ მათ საუბრებს ლენინზე, სამშობლოზე, წითელარმიაზე...

ერმალო კობერიძეს გული დასწყდა, რომ იმხანად ლენინი კრემლში აღარ მუშაობდა. დიდი ბელადი გორკაში ცხოვრობდა. ავადმყოფობდა და ექიმები შორს წასვლის უფლებას არ აძლევდნენ.

ადრე აცივდა მოსკოვში. ოქტომბრის პირველ რიცხვებში ზამთრის სუსხი ტრიალებდა, მაგრამ ზოგჯერ, როცა მზე გამოიხედავდა, სითბო მიეძალებოდა სუსხს. სწორედ ასეთი თბილი და მზიანი დღე იყო 1923 წლის 19 ოქტომბერს. ბიჭები მოედანზე ბურთს თამაშობდნენ. უცებ ხმა გავარდა: კრემლში ლენინი მოვიდაო. ეს ხმა ისე უცებ გაისმა, ლენინის მანქანა ჯერ კიდევ არ გამოსცდენოდა სპასკის კოშკურას. კურსანტები გზაზე გამოცვივდნენ. მანქანამ უცებ მოუხვია. ერმალომ ერთი კი მოჰკრა თვალი შოფრის გვერდით მჯდარ ლენინს და გულმა გამალებით დაუწყო ფეთქვა.

კურსანტები მანქანას მისდევდნენ. მისდევდა ერმალოც, მაგრამ ჩამორჩნენ. მეფე ზარის მახლობლად გაჩერებულ მანქანასთან მაშინ მიირბინეს, როცა ლენინი უკვე გადმოსულიყო და იქ აღარ ჩანდა.

მანქანა უცდის, ესე იგი ლენინი დაბრუნდება. დგანან შორიახლო გასუსული ბიჭები და ელოდებიან. ერთმანეთს არ უყურებენ, სიტყვას არ სძრავენ, დგანან ქანდაკებად ქცეულნი.

გავიდა ნახევარი საათი და ლენინი გამოჩნდა მთავრობის ხალხთან ერთად. გამოჩნდა [illegible] ულვაშიანი, სხარტად მოძრავი კაცი, ჩვეულებრივი, მაგრამ ერთადერთი მთელ მსოფლიოში — თავისი გენიალობით, ნათელი აზრებითა და დიდი საქმით. ბიჭები გრძნობდნენ, ხედავდნენ ყოველივე ამას. უყურებდნენ ლენინს და სჭვრეტდნენ თავისუფალ სამყაროს, უყურებდნენ ლენინს და ხედავდნენ ბედნიერებას, უყურებდნენ ლენინს და ხედავდნენ ზღაპრულ მომავალს.

ლენინი გამოემშვიდობა თავის თანამებრძოლებს, ჩაჯდა მანქანაში და წავიდა.

მხოლოდ მაშინ შეტოკდნენ მებრძოლები. მხოლოდ მაშინ იგრძნეს დროის სიმცირე, სულ რამდენიმე ნეტარი წუთი, მხოლოდ მაშინ იგრძნეს სინანული, რომ ვერ გაბედეს კიდევ რამდენიმე ნაბიჯი გადაედგათ წინ და ახლო, სულ ახლო ენახათ ლენინი...

მანქანამ სპასკის კოშკურისაკენ შეუხვია და გაუჩინარდა.

იმ დღეს კრემლში არავინ ელოდა ლენინს.

ეს ის შემთხვევა იყო, როცა გორკაში სახეირონოდ გამოსულმა ლენინმა, რომელსაც ექიმებისგან სეირნობის ზღვარი ჰქონდა დადებული, დაარღვია მკურნალებისადმი მიცემული სიტყვა და შოფერს უბრძანა მიეყვანა კრემლში.

ეს იყო ერმალო კობერიძისათვის ერთი ყველაზე ბედნიერი წუთი, რომელიც თავისი წონით, თავისი ფასით, თავისი ელფერით ზოგიერთ ათეულ წელზე უფრო ძვირფასია.

* * *

კრემლის პირველ გაერთიანებულ სამხედრო სკოლას ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი უწევდა შეფობას. ლექცია-მოხსენებებს რევოლუციის ცეცხლში გავლილი ადამიანები ატარებდნენ.

ლექტორი ლექციას კითხულობს საერთაშორისო



გადამდგარი გენერალ-მაიორი, საბჭოთა კავშირის გმირი ერმალო კობერიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თემაზე. კურსანტებს, რასაკვირველია, საერთაშორისო მდგომარეობაც აინტერესებთ, მაგრამ მომხსენებელს წერილობით ასეთ შეკითხვებს აძლევენ:

— როგორაა ილიჩი?

— ვინ მკურნალობს ლენინს?

— რატომ მკურნალობს ასე ხანგრძლივად?

— ამბობენ, ლენინი საიდუმლო საქმეზე მუშაობსო.

— ცოცხალია თუ არა კაპლანის ქალი? და თუ ცოცხალია, როდის დახვრეტენ, ან ჩამოახრჩობენ?

ისე, როგორც მაშინ მთელ ჩვენს ქვეყანას, ჭაბუკ მებრძოლებსაც აღელვებდათ ილიჩის ავადმყოფობა.

ლექტორი წამით თვალს ავლებს კურსანტებს და ამაყად ამბობს იმას, რაც გულით სწამს:

— ლენინი იცოცხლებს, კომუნიზმისათვის საჭიროა მისი ჯანმრთელობა!

* * *

1924 წლის 22 იანვარს მთელ ჩვენს ქვეყანაში ტელეგრაფის ყველა აპარატი მხოლოდ ერთსა და იმავეს იტყობინებოდა:

— ყველას, ყველას, ყველას...

...მოსკოვის მეთაურთა პირველ გაერთიანებულ სამხედრო სკოლაში განგაში გამოცხადდა. მებრ-



ძოლები უიარაღოდ მოაწყვეს და სახკომსაბჭოს შენობის წინ გაიყვანეს.

დილაა. ყინავს. სამარისებური დუმილია. ვიღაცას ელიან. სიუკუნედ იქცა ის რამდენიმე მოლოდინის წუთი. ქარ-ნიავი სისინებს და ფხვიერ თოვლს ფეხებთან უტრიალებს მებრძოლებს.

დგას კობერიძე მწყობრში. პირისახე ეხუხება, მხოლოდ უბეში გრძნობს სითბოს, საკუთარი გულის სიცხოველეს.

სხვა დროს მთავრობის რომელიმე წარმომადგენლის მისალმებაზე მებრძოლები დაუყოვნებლივ, ომახიანად უპასუხებდნენ, მაგრამ ახლა, როცა სახკომსაბჭოს შენობიდან გამოსული მთავრობის წარმომადგენელი სადარბაზოს კიბეზე გაჩერდა და მებრძოლებს ნაღვლიანად, უხალისოდ გადმოხედა, ერმალოს გულმა უგრძნო, რომ რაღაც მოხდა... რაღაც, ყველაფერი, მაგრამ არა ის, რაც ხმადაბლა თქვა იმ კაცმა:

— ლენინი გარდაიცვალა.

ამის თქმაზე შეშფოთებით შეირხა კურსანტების წინა რიგები. ეს პირველი ავისმაუწყებელი სიტყვები ისე ნაღვლიანად და ხმადაბლა ითქვა, ბევრმა ვერ გაიგონა. მაგრამ წესდება უფლებას არ აძლევდა ეკითხათ მათთვის, ვინც გაიგონა და ყინვისგან ალაყლაყებულ ლოყებზე ზაფრანის ფერმა გადაჰკრათ.

მთავრობის წარმომადგენელმა წამით დათრგუნა მღელვარება და ახლა კი ზარივით გაისმა მისი ხმა:

— ლენინის საქმე უკვდავია! იგი სამუდამოდ იცოცხლებს! მისი ძვირფასი სახელი ჩვენს გულში მარადიულ ცეცხლად ენთება!

ლაპარაკობდა გზნებით, მღელვარედ...

„ნუთუ მართალია? ნუთუ მართალია?" — ეკითხებოდა შეშფოთებული ერმალო თავის თავს და ის რაც დაუჯერებელი იყო, არ უნდოდა დაეჯერებინა.

გულდამდუღრული კურსანტები ერთმანეთის უმძრახებივით, უტყვად დაბრუნდნენ ყაზარმაში.

ცრემლმორეული ერმალო კარგახანს მისჩერებოდა ლენინის სურათს, რომელიც დღევანდლამდე თხელ, ლამაზ ჩარჩოში იყო ჩასმული, ახლა კი ვილაცას შავი ძაძები შემოევლია.

გარეთ ქარ-ნიავი სისინებდა და ჰილუყავები ჩხაოდნენ.

ძალიან მძიმე დღე იყო.

ისევ განგაში, ახლა კი თოფებით მოაწყვეს კურსანტები და სამწყობრო ნაბიჯით სპასკის კოშკის ჭიშკრიდან წითელ მოედანზე გამოიყვანეს. ხმაურით ებათქუნებოდა ჩექმები მოედნის ქვაფენილს. ქუჩებში კანტიკუნტად გაიხრიგინებდა ბრეზენტგადაფარებული მსუბუქი მანქანა, სადღაც მიიჩქაროდნენ შეცივნული მოსკოველები...

კურსანტთა ასეული კავშირების სახლთან შეჩერდა. მეთაურებმა ოცეულების მიხედვით გაანაწილეს და სადარბაზო შესასვლელებიდან სვეტებიან დარბაზამდე გაიჭიმა შეიარაღებულ ჭაბუკთა მწკრივი. უზარმაზარ სვეტებიან დარბაზში მზად იყო ძაძებში მოსილი კვარცხლბეკი. ჭაღები არ ენთო და ეს ნახევრადბნელი დარბაზი სამარისებური დუმილით ელოდა ლენინის ცხედარს.

ნაშუადღევს მოასვენეს იგი.

სად იყო, სად არა, მილეთის ხალხი მოაწყდა კავშირების სახლს. როცა ერმალო კობერიძის ოცეულმა თავისი ორსაათიანი განწესი მოათავა და დასასვენებლად გავიდა, მებრძოლები ახლა ქუჩაში გაიყვანეს წესრიგის დასაცავად, სადაც ხალხის ზღვა ბობოქრობდა. მებრძოლები ძლივს იკავებდნენ თვალცრემლიანსა და ლენინის სიკვდილით შეშინებულ ადამიანებს. მოიწევდნენ, ეძალებოდნენ, არაფერს ეპუებოდნენ, ოღონდ როგორმე შეეღწიათ დარბაზში და, ალბათ, აქ, ლენინის ცხედართან, ვინ როგორ და ვინ კიდევ როგორ, მოიოხებდა გულს, ცრემლით იქნებოდა თუ გულიდან ამოსული სიტყვით.

ეს სტიქიური ლტოლვა ვიღაცის ომახიანმა დაძახილმა გააქვავა:

— რიგში ჩადექით, ამხანაგებო! ყველას გაგიშვებთ!

და იმ წუთიდან ხუთი დღე და ხუთი ღამე უწყვეტ ნაკადად მოედინებოდნენ ქალები, კაცები, ბავშვები, მოხუცები... იდგნენ და თავიანთ რიგს ელოდნენ მშიერნი, გათოშილნი... ოღონდაც ჩავლოთ ლენინის ცხედართან.

ერმალო კობერიძე სვეტებიანი დარბაზის კუთხეში იდგა, მის წინ ჩაიარა ათასობით ადამიანმა. მოდიოდნენ დაოსებულნი. მამაკაცებს ყინული ჭერაც არ შელღობოდათ წვერ-ულვაშებზე და წარბებზე... მხოლოდ ცრემლი არ შეჰყინვოდათ. თვალსა და ცრემლს, ადამიანის გრძნობას ყინვა ვერ ერეოდა.

წამით შედგება რომელიმე და დაიძახებს:

— შენ ცოცხალი ხარ, ლენინ!

ზოგს სასოწარკვეთილება იპყრობს:

— როგორ ვიქნებით უშენოდ?!

მოდიოდა და მოდიოდა ხალხის ნაკადი.

ლენინი კი, ბრძოლებში დაღლილი, იწვა და მარადიული ძილით ეძინა.

ამ დროს წითელ მოედანზე გათოშილ მიწას აფეთქებდნენ, მავზოლეუმს აგებდნენ, დიდი ლენინის სამუდამო სავანეს.

* * *

იმ დღეს, როცა ლენინის ცხედარი მავზოლეუმში უნდა დაესვენებინათ, კურსანტთა მესამე ოცეული თავისუფალი იყო და კრემლის კომენდანტმა მებრძოლებს უფლება მისცა კრემლის კედლის ქონგურებზე ასულიყვნენ, იქიდან ეცქირათ სამგლოვიარო პროცესიისათვის.

წითელ მოედანზე ზღვა ხალხი ტორტმანებს. დაბლა დახრილა სამგლოვიარო დროშები. ისმის ფაბრიკა-ქარხნების საყვირთა ხმები. ხუთი წუთით გაირინდა ჩვენი ქვეყანა, ხუთი წუთით გაირინდა მთელი მსოფლიო... ლენინის ცხედარი მავზოლეუმში შეჰქონდათ.

ისევ განგაში. ბიჭები ფაცხაფუცხით ჩამოცვივდნენ კედლიდან, მესამე ოცეულის თითქმის ყველა მებრძოლი გამოცხადდა ყაზარმაში. ასეულის მეთაურმა თვალი შეავლო მათ და მიმართა:

— თქვენ დღეიდან დიდი ლენინის მავზოლეუმის გუშაგებად დაინიშნებით.

სულ ცოტა ხანში მწერალ დემიან ბედნის სახლში, იქვე, კრემლის ეზოში რომ იყო, გაიხსნა საგანგებო საყარაულო ოცეულის სადგომი. და აი, პირველი განწესიც... სპასკის კოშკის ჭიშკრიდან წითელ მოედანზე გაიყვანეს გუშაგთა პირველი წყვილი.

იმ დღეს ერმალო კობერიძეც იდგა მავზოლეუმთან. იდგა და მღელვარედ განიცდიდა იმ ახალსა და დიადს, რაც ჩვენი არმიის ცხოვრებაში დაიწყო. გაიხსნა ყველაზე დიდი და საპატიო საგუშაგო, რომელსაც ნომერ პირველი ეწოდა. ერმალო კობერიძე ლენინის მავზოლეუმის საგუშაგოზე იდგა ზამთრის იმ სუსხიან დღეს, როცა გლოვის ზარი მძვინვარებდა, როცა პარტია ფიცს სდებდა დიდი ლენინის ცხედრის წინაშე.

№ 1 საგუშაგო. აქედან იწყება ყველაფერი. ლენინის მავზოლეუმი ამიერიდან გადაიქცა ჩვენი პარტიის საჯარო ტრიბუნად, საიდანაც პარტია ლენინის ენით გვესაუბრება. მავზოლეუმთან იმართება ხალხთა ყველაზე დიდი ზეიმი, მავზოლეუმთან ეგებებიან გმირებს, მავზოლეუმთან მივაცილებთ ბრძოლაში დაცემულ მამაც ადამიანებს...

...მავზოლეუმის ამ ორსაფეხურიან კიბეზე ჩამოსული ჯარისკაცები ლენინის სახელით, ლენინთან ერთად მიდიოდნენ ბრძოლაში.

ერმალო კობერიძე, ლენინის მავზოლეუმის პირველი გუშაგი, ბრძოლებში ნაცადი გადამდგარი გენერალი, ოცდახუთი ორდენისა და მედლის კავალერი, საბჭოთა კავშირის გმირი, დღესაც სიამაყის გრძნობით იგონებს № 1 საგუშაგოზე გატარებულ საათებს...

ოცდაცხრა ცხარე ბრძოლა გადაიხადა ერმალო კობერიძემ დიდ სამამულო ომში, მისმა დივიზიამ ბერლინის კარებიც შეღეწა. სადაც არ უნდა ყოფილიყო, პირში თუ ლხინში, სამშობლოსათვის თავდადებული მეომარი, ყოველთვის მაინც იქ იდგა — ნომერ პირველ საგუშაგოზე, ყველაზე წმიდა ადგილას, ლენინის, — ჩვენი მართალი საქმისა და ხალხთა ბედნიერების საგუშაგოზე.

ტაგუ მეგურიშვილი



მალე, სულ მალე
უხედნელი ქედი ენგურის
დაიუღლება სამუდამოდ
ვევბა კაშხლით.
თავისუფლება, — ხეობაში ამოხვებული,
ზღაპრულ რაშივით
მოშრიალე
ოქროს ფრთებს გაშლის.

* * *

გზები და გზები —
მეწამული ფერის დაღლები
და ღორღი ირგვლივ —
წარკვეთილი მთათა თავები.
იცოხნებიან
კირქვის ქანებს ბულდოზერები,
დინამიტები
ცაში ლოდებს აბურთავებენ.
ირთვება ზეცა
დენთის კვამლით —
ლურჯი ვარდებით.
აქ ხმაურია,
სიჩუმე თვალს
წუთით ვერ ლულავს.
თეთრგულა კლდეებს
წერაქვები უნისკარტებენ
და ჰგავს გვირაბი
უზარმაზარ ზარბაზნის ლულას.
ბღავილით მისდევს
დატვირთული
თვითმცლელი თვითმცლელს,
გადააქვთ ხრეში —
მიწის ძვალი
და მიწის ხორცი.
სამშობლოს იმედს
ემატება განი და სიგრძე,
სამშობლოს იმედს
ახვალით სინათლე კოცნის.

* * *

რკინის მკვნეტელო ვაჟკაცებო,
მოგმართავთ ძმურად:
(თქვენი დიდება
მომავალში უნდა გაჭენდეს)
ვერ ჩავაშენებთ
ჩვენ ამ კაშხლის
კედელში ზურაბს,
კედელში ჩვენი
სიყვარული უნდა ჩაშენდეს.
კედელში ჩვენი
ერთგულება უნდა ჩაშენდეს,
უნდა ჩაშენდეს
თავდადება,
რწმენა და ნიჭი.
მამულს სინათლის შარავანდი
უნდა დაშვენდეს.
მკვიდრად ავაგოთ,
არ გვზაფრავდეს
შიში და იჭვი.
სამკუთხედი ზღვა,
წარმოვიდგენ,
მერმისში ფრთვინავს,
ღელავს და ფრთვინავს,
ტყვეობიდან დახსნა სწყურია.,..
ფრთხილად, გიორგი,
ფრთხილად, ზაზა,
ჯამბაკურ, ფრთხილად!
არ მივუმატოთ
ეს კოლხეთი დიოსკურიას.
რკინის მკვნეტელო, ვაჟკაცებო,
მოგმართავთ ძმურად:
(თქვენი დიდება
მომავალში უნდა გაჭენდეს)
ვერ ჩავაშენებთ
ჩვენ ამ კაშხლის
კედელში ზურაბს,
კედელში ჩვენი
სიყვარული უნდა ჩაშენდეს.

* * *

მოიქსოვება ჩვენი ქვეყნის
მაღალი ზეცა,
მაღალი ძაფის
მავთულებით მოიქსოვება.
სინათლის ყელით ამღერდება
მიწა და ზეცა,
სინათლის ყელით ამღერდება
ჩვენი ცხოვრება.
დარეკავს ზარი
და იმ ზარის ნაპ-ნაპში
აბიბინდება ბალახივით
ნატვრა მგოსანის.
და აყვავდება,
აყვავდება სინდის-ნამუსი
და ოფლის ფასი
გაანათებს ბაჟაღლოსავით.
მალე ჩამოფქვავს უკანასკნელ
ლოდინის წამებს,
დრო
და ტატნობი
მაშხალებით მოიჩითება.
გაუჭირდება
ჩამოფრენა მამულში ღამეს,
დიდ სინათლეში
ჩამოფრენა გაუჭირდება.
განიბანება
მარადიულ სინათლის წყალში
სამშობლო,
ციან-მიწიანად განიბანება.
დღე სამუდამო
ჯურღმულებშიც
სიბნელეს წამლის,
ცხადად ახდება
ჩვენი ნატვრა,
ჩვენი ზმანება.
იქნება თოვა
გამარჯვებულ კაცის ღიმილის
და იზეიმებს სიჭაბუკეც —
მომავლის ბუკი.
იქნება თოვა
გამარჯვებულ კაცის ღიმილის,
იქნება თოვა
ენგურის მუქის.



ალექსანდრა ვოუბა

გაზაფხულის დადგომას პირველად ჩაის ბუჩქები გრძნობენ: გალაღდებიან, მხრებს გაშლიან, აიკოჩრებიან, წვენჩამდგარი დუყები ნაზამთრალი ფოთლებიდან თავებს წამოჰყოფენ და მზეს გაბედულად გაუსწორებენ თვალს.

წლეულსაც ასე დაიწყო გაზაფხული ალექსანდრა ვოუბას პლანტაციაში.

სოხუმიდან ოჩამჩირისაკენ მიმავალი გზის მარცხენა მხარეს მწვანედ ახავერდებული ჩაის ბუჩქები ჩარიგებულან. ეს პლანტაციები სოფელ ბესლახუბის კოლმეურნეობას ეკუთვნის. აი, სწორედ აქ აქვს გაპიროვნებული ნაკვეთი ალექსანდრა ვოუბას.

მზე ზღვაში ეშვება.

ალექსანდრა ჩქარობს, კიდევ რამდენიმე ვედრო სასუქი დარჩა პლანტაციაში შესატანი.

მისი უმცროსი ვაჟიშვილი ვაჟაც ჩქარობს. სწრაფად დააბიჯებს პლანტაციაში და გაფუებულ ნიადაგში აბნევს აზოტის ქათქათა ფხვნილს. ხელები ეწვის, მაგრამ მაინც არ ეშვება. მზის ჩამოწოლამდე ყველაფერი უნდა მოასწრონ.

— რატომ ვიკლავთ თავს? აზოტის შეტანა ხვალაც ხომ შეიძლება? — ეკითხება გახვითქული ვაჟა დედას.

— შეიძლება, ზეგაც შეიძლება, მაზეგაც... აბა ცას გახედე, ამაღამ, ალბათ, იწვიმებს და...

— გასაგებია!... მომაგონდა! — სიტყვას აწყვეტინებს ბიჭი დედას. — წვიმასთან [illegible] შეიწოვს სასუქს თანაბრად განაწილებისას [illegible] ... უფრო კარგად და უდანაკარგოდ შეიწოვს აზოტს.

— [illegible] არ [illegible]? — [illegible] უწყობს დედა შვილს.

— თუ წვიმა არ მოვიდა, სასუქი მაინც არ დაიკარგება... მიწა თანდათან შეიწოვს სასუქს. მარშანაც ასე არ იყო?

[illegible] შვილმა [illegible] სასუქის ყადრი იცის.

შებინდდა. მოდიდებული აძიგვა ხმაურს უმატებს. ეს ნაკადული სადღაც აქვე, ჩრდილოეთით წამოზიდულ მთებში იღებს სათავეს. მოდის და მორაკრაკებს. გაზაფხულობით მოდიდდება ხოლმე. ძალამომატებული გამეტებით ეხეთქება ერთ კარგად მოზრდილ, ხავსმოდებულ ლოდს. ეხეთქება, ლოკავს, ებრძვის, მაგრამ ვერაფერს აკლებს და მშვიდდება, მორჩილად უერთდება შავ ზღვას.

ნაკადულისა და ქვის ორთაბრძოლას რომ უყურებს ვაჟა, ეღიმება: ტყუილად წვალობს, ამოდენა ქვას ადგილიდანაც როგორ დაძრავს. ალექსანდრას კი თავისი შვილების გაუტეხელ ხასიათს აგონებს ამ ურჩი წყაროს ჯიუტობა.

ასეთი იყო პატარაობისას მისი უფროსი ვაჟი — ვალერი, განზრახულზე ძნელად თუ აიღებდა ხელს, ასეთები იყვნენ მომდევნო შვილები: სლავა და იურა, ასეთია ვაჟაც...

მზის ჩასვლისთანავე პლანტაციებიდან მეჩაიეები დაიძრნენ და აძიგვასთან მოიყარეს თავი.

— დღეს აუცილებლად დაგხვდება შინ იურას წერილი, — აიმედებს ალექსანდრას ნათელა ლიპარტია, — გული მეუბნება. აი, ნახე, თუ არა.

ნათელამ იცის, რომ კარის მეზობელი მის სიტყვებს არ დაიჯერებს, მაგრამ მაინც აიმედებს.

ალექსანდრა იღიმება. ამ ღიმილს ყველა იცნობს ბესლახუბში. საერთოდ, ალექსანდრა ვოუბა წარმოუდგენელია ულიმილოდ. ღიმილი ათასგვარია ამქვეყნად: ზოგი გულწრფელი, ზოგი მოჩვენებითი, საქმისათვის საჭირო... ალექსანდრას ღიმილი კი სულ სხვაა. ამ ღიმილში თითქოს ნათლად იხატება მთელი მისი ბუნება, მისი აზრები, მისწრაფება, ფიქრები, მისი სიკეთე...

ვაჟა დაწინაურდა. ალბათ უნდოდა, ძმის წერი-



სურათზე (მარჯვნიდან მარცხნივ): ალექსანდრა ვოუბა და მისი შვილები — ვალერი, ნანი და სლავა.



ბრიგადირი ლეონტი ბერულავა დავალებას აძლევს ალექსანდრა ვოუბას.

ლი პირველს ენახა და დედისათვის ჰიშკართან შეეგებებინა სიხარული.

გზადაგზა ნათელა წუხს, სახუქის შეტანა ვერ მოვასწარით.

— ხვალ მოგეხმარები, — ჰპირდება ვოუბა, — ბიჭსაც წამოვიყვან.

— ნუ შეწუხდები, მე თვითონ მოვითავებ საქმეს, ცოტაღა დამრჩა.

— სახუქები როგორ შეგაქვს? — დაინტერესებითეკითხება ალექსანდრა ნათელას.

— ძველებურად. ჯერ სამასი კილოგრამი უნდა შევიტანო, დანარჩენ ორას კილოგრამს კი ივნისში შევიტან.

— შებრუნებით გეცადა, შე ქალო. ხომ გახსოვს, შარშან ჩემს ნაკვეთში მეტი მოსავალი მოვიდა.

ალექსანდრა საკუთარი გამოცდილებით მივიდა ამ დასკვნამდე. 0,4 ჰექტარზე, როგორც წესი, 500 კილოგრამი აზოტოვანი სახუქის შეტანაა გათვალისწინებული. სახუქი ორჯერ შეაქვთ ნიადაგში— აპრილსა და ივნისში. თანაბარი დოზებით კი არა: პირველად 60 პროცენტი, მეორედ — 40 პროცენტი. ალექსანდრა ვოუბამ ეს წესი დაარღვია და პირიქით მოიქცა. ეს მისი ახირება არ იყო, ხანგრძლივი დაკვირვებისა და გამოცდილების შედეგი გახლდათ. პირველი დოზა 40 პროცენტამდე იმიტომ შეამცირა, რომ ნიადაგს ზამთრის პერიოდიდან საკმაო საკვები მარაგი აქვს გამოყოლილი. ივნისისათვის კი „სარჩო" ელევა და სწორედ მაშინ სჭირდება გაძლიერებული კვება.

— აწი გვიანაა, — თითქოს ბოდიშს იხდის ნათელა, — ველარ გავითვალისწინე... მომავალ წელს კი აუცილებლად შენნაირად მოვიქცევი.

— ხვალ წაგეხმარები, — თავისას არ იშლის ალექსანდრა ვოუბა.

— ნუ შეწუხდები-მეთქი, მე თვითონ შევიტან სახუქს. — მტკიცე უარზეა ნათელა.

— მარტის დამლევს მომწერა, საწვრთნელ შეცადინეობაზე ქალაქგარეთ მივდივართო, — სიტყვას ბანზე აგდებს ალექსანდრა, — მაშინვე მივწერე წერილი... ნეტა ასე რატომ დააგვიანა პასუხის გამოგზავნა?!

— მოგწერს, ნუ დარდობ! დაბრუნდება ნაწილი ქალაქში და მოგწერს. ათი დღე არც ისე დიდი დროა, რომ დარდი ჩაიდო გულში, — ანუგეშებს ნათელა ალექსანდრას.

ალექსანდრა არ დარდობს, ფიქრობს მხოლოდ. დედაა და საბჭოთა არმიის რიგებში წასულ შვილზე ფიქრობს. ენატრება თავისი ბიჭის ნახვა. უნდა, ყოველდღე მოსდიოდეს მისგან წერილი.

— თუ იურას წერილი მიიღო, აუცილებლად გამაგებინე. ხომ იცი, ჩვენებიც მოუთმენლად ელიან! — ღიმილით ემშვიდობება ნათელა მეზობელს.

...ეზოში ხუთიოდე წლის შვილიშვილი ეგებება ალექსანდრას. ენად გაიკრიფა გახარებული გოგონა: მარუშა ბებიამ ნამცხვრები დაამზადაო, ძროხა მოწველაო, ვალერი ბიძიამ მანქანას ბორბლები დააძრო, ვაჟამ ლამბაქი გატეხაო... წერილზე კი კრინტიც არ დაუძრავს ანცს.

დღე დასრულდა. ვოუბების ოჯახი ვახშამს შეექცევა.

უმცროსები ჩქარობენ: ნავახშმევს მთელი ოჯახი სოფლის კლუბში მიდის ახალი ფილმის სანახავად. შინ მხოლოდ ალექსანდრას დედამთილი — მარუშა ბებია და პატარა გოგონა რჩებიან.

ალექსანდრას დღეს შინ ყოფნა ურჩევნია. დაიღალა, ხელისგულები ეწვის, ფეხები არ ემორჩილება, მაგრამ ვინ დაუჯერებს.

კედლიდან ფართოსამხრეებიანი ბიჭის სურათი იღიმება და ისეთი თვალები აქვს, თითქოს დედას ამხნევებს, წადი, ნუ დარდობ, მე კარგად ვარო.

განა დედამ არ იცის, რომ კარგადაა, მაგრამ რატომ წერილს არ აგზავნის?

...კლუბიდან დაბრუნებული ოჯახის წევრები ერთმანეთს შთაბეჭდილებას უზიარებენ.

ალექსანდრა, ჩვეულებისამებრ, კუთხეში მიდგმულ მაგიდასთან ზის და, ვინ მოთვლის, მერამდენედ ათვალიერებს დიპლომებს.

დიპლომები სხვადასხვა კუთხიდან არის მოსული. ეს დიპლომა ალექსანდრას აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭომ გამოუგზავნა, ეს დიპლომა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრისაგან მიიღო, ეს — პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტიდან. აქვეა დიპლომები: საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტიდან, ჟურნალ „კრესტიანკას" რედაქციიდან... ალექსანდრა ვოუბას სოციალისტური შრომის გმირის წოდებას ულოცავენ ცაცა ქარდავა, — კოჩარიდან, მარია არძინბა, — გუდაუთიდან, გუგული ქადეიშვილი, — მახარაძიდან...

ვაჟას მოწიწებით გამოაქვს კოლოფში სათუთად შენახული ოქროს ვარსკვლავი და, თითქოს პირველად ხედავსო, გულდასმით ათვალიერებს. ბებია მარუშა ბიჭუნას ტუქსავს, მაგრამ თვითონაც ველარ უძლებს ცდუნებას, სათვალეს იკეთებს და ოქროს ვარსკვლავს ატრიალებს ხელში.

ამ ვარსკვლავმა სახელი და დიდება მოუტანა ალექსანდრა ვოუბას. სახელისა და დიდების მოხვეჭა კი მხოლოდ თავდადებული შრომით შეძლო.

აბა იანგარიშეთ: ხუთწლედის სამ წელიწადში 0,4 ჰექტარი ფართობიდან ალექსანდრა ვოუბამ 11.200 კილოგრამის ნაცვლად 19.115 კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოკრიფა. მარტო შარშან 6.845 კილოგრამი „მწვანე ოქრო" მისცა სამშობლოს.

წელს კიდევ უფრო მეტი შემართება მართებს ალექსანდრას. მთელი ჩვენი ხალხი თავდადებით იბრძვის ხუთწლედის განმსაზღვრელი წლის დავალებათა გადაჭარბებით შესასრულებლად. ამ ბრძოლაში ალექსანდრა ვოუბამაც უნდა შეიტანოს თავისი წვლილი. მისი სიტყვა და საქმე ერთია. თქვა და აასრულებს კიდეც: წელს, სულ ცოტა, 7 ათას კილოგრამ ჩაის ფოთოლს მისცემს სამშობლოს.

ოთხშაბათია. ალექსანდრას დღეს საშური საქმე არ აქვს, მაგრამ მაინც სწრაფად წამოხტა საწოლიდან. პირი დაიბანა, სახელდახელოდ წაიხემსა და



მეჩაიეები პლანტაციიდან შინ ბრუნდებიან.

კედელზე გაკრულ ქაღალდს დახედა. ქაღალდზე ოდნავ გაკრული, ლამაზი ხელით არის ჩამოწერილი: „ორშაბათს საღამოს 10 საათზე — კოლმეურნეობის კანტორაში. სამშაბათს 6 საათზე — პარტიის ოჩამჩირის რაიკომში. ხუთშაბათს 9 საათზე — კოლმეურნეობის საერთო კრება. კვირას — შეხვედრა ოჩამჩირის საშუალო სკოლის პიონერებთან, საღამოს — გამოსვლა ადგილობრივი რადიოთი"...

დღეს შაბათია. ალექსანდრა თავისუფალია. პლანტაციაში ყველაფერი სანიმუშოდ აქვს მოწესრიგებული. მაინც პლანტაციისაკენ მიიჩქარის. წუხელ არ უწვიმია და ნაკვეთს უნდა დახედოს.

ცოტა ხნის შემდეგ ალექსანდრა საქმეში გართულ ნათელას წამოადგა თავზე.

— მაინც მოხვედი?! — თან თითქოს ხწყინს და თან უხარია ნათელას.

— საცაა ვაჟაც ამოვა. სამნი უფრო მალე დავამთავრებთ საშუშაოს, — ჩვეული კეთილი ღიმილით გასცქერის ალექსანდრა ნათელას.

...იმ ღამეს გადაუღებლივ წვიმდა. ზღვა ბობოქრობდა. პატარა აძიგვაც წამოიჭოჩრა და ის დიდი ლოდი, რომელსაც მუდამ თავგამოდებით ებრძოდა, წყლით გადაფარა.

ისევ წვიმდა. დაახლოებით ღამის ათი საათი იქნებოდა, როცა ლაბადაწამოსხმულმა ვოუბას უფროსმა ვაჟიშვილმა ვალერიმ ნათელა ლიპარტიას კარზე მიაკაკუნა.

გაოცებულმა დიასახლისმა კარი გააღო თუ არა, ვალერის მხიარული ხმა შემოესმა:

— დედამ გამომაგზავნა, იურას წერილი მივიღეთო!

**ივერი ტაბიძე**

**ფოტო თარხან არჩვაძისა.**

# ჯავახელები

(ერთი დღის ჩანახატები)

ვახუშტი ბაგრატიონი მთისა და ბარის ერთ-ერთ მთავარ განმასხვავებელ ნიშნად ვაზის გავრცელებას თვლის. ქვეყნის ის ნაწილი, სადაც ვენახებს აშენებენ — ბარია, ხოლო იქ, სადაც ვაზი ველარ ხარობს — მთაა.

დმანისი მთიანი რაიონია.

აქაურ სოფლებში, მართალია, ვაზს ვერ შეხვდებით, მაგრამ ნოყიერი მიწები იხვნება და ითესება. ადამიანები თავდადებით შრომობენ, უხვ მოსავალსაც იწევენ.

ფერდობებზე სოფლები მიმოფანტულა. დაკლაკნილი გზა სწორედ ამ სოფლებისაკენ მიემართება. საქართველოს ამ უძველეს კუთხეში პირველად ვართ. ყურადღებით ვათვალიერებთ ყველაფერს.

აგერ, ხელმარცხნივ, გორაზე წამომდგარა სიონის ტაძარი, რომელსაც დღემდე შემოუნახავს უძველესი ქართული წარწერა. სიონის ტაძარში მოღვაწეობდა ამ მხარის მკვიდრი, ბრძენი სულხან-საბა. ერთ დროს, თურმე, აქვე იჭრებოდა ქართული ფული...

მოკლე დღე უცბად შემოგვადნება ხელში. უნდა ვიჩქაროთ. აგერ, აქვე დმანისის მახლობლად გაშენებულ ერთ პატარა სოფელზე ვაჩერებთ არჩევანს. ეს სოფელია ჯავახი.

## ჯავახი

სოფელი ჯავახი თემშარიდან, მოშორებით მდებარეობს. ხევს გაღმა სოფელი განთიადია, ხევს გაღმა — ჯავახი. ჯავახში ორასამდე კომლია. ფერდობებზე კოხტა, ორსართულიანი სახლები მიმოფანტულა. ეტყობა, კოლმეურნეობა ღონიერია და აქაური გლეხკაცები შეძლებულად ცხოვრობენ.

სასოფლო-სამეურნეო არტელი აქ 1931 წლის 10 იანვარს ჩამოყალიბებულა. კოლმეურნეობის პირველი მოთავე და ხელმძღვანელი ალექსი შარბანაშვილი ახლა პერსონალური პენსიონერია.

ახლადჩამოყალიბებული კოლმეურნეობის პირველი საანგარიშო მოხსენება, რომელიც გამძლე ქაღალდზე დაუწერიათ, დღემდე შემოუნახავთ აქაურებს.

„განზრახული გვაქვს ავაშენოთ სამი თავლა, — ვკითხულობთ საანგარიშო მოხსენებაში, — აგრეთვე ინვენტარის შემკეთებელი სახელოსნო. სოფელში წყლის უქონლობა ზამთარში საქონელს აყენებს ცუდ მდგომარეობაში"...

მას შემდეგ ორმოც წელზე მეტი დრო გავიდა. წარსული ისტორიას ჩაბარდა. სოფელი მოღონიერდა, მხრები გაშალა. ჯავახში ბევრი რამ აშენდა. აქაური კოლმეურნეები ახლა ისე შეძლებულად ცხოვრობენ, რომ პირველ საანგარიშო მოხსენებაში ამოკითხული ზოგიერთი სიტყვები უნებურ ღიმილს ჰგვრის მათ.

ჯავახის XVII პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობა, სადაც მეურნეობის ძირითადი დარგები მეცხოველეობა და მეფრინველეობაა, დღეს რაიონში ერთ-ერთი პირველთაგანია. ხუთწლედის მესამე გადამწყვეტი წელი ჯავახელებმა კარგი მაჩვენებლებით დაამთავრეს. ხუთწლედის განმსაზღვრელი წელი კი მათთვის ახალი საგმირო საქმეების წელია. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ისტორიული მიმართვით აღფრთოვანებულ კოლმეურნეებს გადაწყვეტილი აქვთ: მეტი ხორცი, მეტი მატყლი, ბოსტნეული, მარცვლეული და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები აწარმოონ.

## ევგენია ანდიაშვილის სახელი შორს გავარდა

ჭაღარაშერეული თმა, გარუჯული, ჯანსაღი სახე...

ყველაფერში ეტყობა, რომ ეს ქართველი დედა ოჯახის ნამდვილი ბურჯია.

მთელი თავისი ცხოვრება შრომაში აღამდება და ათენდება, ისეთ შრომაში, ადამიანს რომ ამაღლებს, აკეთილშობილებს, სიცოცხლეს ჰმატებს. საქართველოში განა ერთსა და ორს შეეხვედრილვართ ასეთებს! იცით, რა ხალხი არიან ისინი? უქმად ერთ წუთს რომ ვერ გაძლებენ, უსაქმობა რომ დააკნინებთ, სენი შეეპარებათ, გული დაუდარდიანდებათ. მათი ძალა და სიცოცხლის ხალისი — შრომაშია.

ევგენია თვრამეტი წლისა გათხოვდა. შრომაში ადრევე ჩაება. მიუხედავად იმისა, რომ ორი პატარა ბავშვი ჰყავდა მოსავლელი, კოლმეურნეობას მაინც ახმარდა ხელს. მერე კი, როცა ბავშვები წამოიზარდნენ, ფერმაში მწველავად დაიწყო მუშაობა. თავის საქმეს პირნათლად ასრულებდა. შრომობდა ერთგულად, პატიოსნად, თავდადებით. აბა როგორ იფიქრებდა, რომ ერთი უბრალო ადამიანი, ასეთი ჩვეულებრივი და თითქოსდა უჩინარი შრომით, შორს გაითქვამდა სახელს.

ერთ მშვენიერ დღეს, როცა მისი შრომითი მაჩვენებლები შეაჯამეს, როცა წინა წლების შედეგებსაც გადახედეს, გაოცდნენ. ევგენია ანდიაშვილს წლიური გეგმით გათვალისწინებული 1680 კილოგრამი რძის ნაცვლად, ათ თვეში, თითოეულ ფურიდან უკვე 1900-მდე კილოგრამი რძე ჰქონდა ჩამოწველილი. მერე ნამატის შენარჩუნება შეამოწმეს. 14 ძროხის ნამატი უკლებლივ ჰყავდა გამოზრდილი. ცხადია, ანდიაშვილს დიდი წვლილი მიუძღვოდა იმაში, რომ ჯავახის კოლმეურნეობა წველადობის მაჩვენებლით პირველ ადგილზე გამოვიდა რაიონში.

გაიხარა ევგენიამ, სამი შვილის დედამ, მაგრამ იმაზე დიდი სიხარული აბა რა უნდა ყოფილიყო, როცა იგი — პატარა სოფლის რიგითი მწველავი, იმ დიდი ადამიანის ორდენით დააჯილდოვეს, რომელიც კომუნიზმისაკენ უნათებს გზას კაცობრიობას.

## მეცხვარემ ცხვარი გაშალა

ვალერიან ასლამაზაშვილი ორმოცი წლისა თუ იქნება. მავტუხაა, დინჯი და გულჩათხრობილი. თავის თავზე ვერაფერს ვერ ათქმევინებ.

პატარა ვალერიანი თურმე მეცხვარეობამ გაიტაცა. მაშინ მეცხვარეებზე ბევრ საგმირო ლექსებს მღეროდნენ. მეცხვარეობა და ვაჟკაცობა ყმაწვილისათვის ერთი და იგივე მცნება იყო.

მერე, რატომღაც, მეცხვარეობას ზურგი აქცია და კოლმეურნეობის მინდვრებს მიაშურა. მუყაითი იყო, სადაც კოლმეურნეობას გაუჭირდებოდა, იქ გაჩნდებოდა: თავდადებით შრომობდა მინდორში, ბოსტანში, ბაღში...

— მაგრამ ვატყობდი, — როგორც იქნა ამოღერღა ვალერიანმა, — გული ისევ ცხვრისაკენ მიმიწევდა. ცხვრის გარეშე ცხოვრება არ შემეძლო... ზაფხულში, ფარა რომ შეეფინებოდა მთას, თვალი იქითკენ გამირბოდა...

და აი, ისევ მწყემსის კომბალი აიღო ხელში ვალერიანმა.

მწყემსს ყოველთვის ელის ფათერაკი: ყინვა, თოვლი, ნადირთან შებრძოლება... ვალერიანი და მისი ბიჭები ყველაფერს ვაჟკაცურად უმკლავდებიან, ყველაფერს სძლევენ.

ამიტომაც არის, რომ კოლმეურნეობის საერთო წარმატებაში დიდი წვლილი შეიტანა ვალერიანის ბრიგადამ. ბიჭებმა შარშან 100 ნერბიდან გეგმით გათვალისწინებული 75 ბატკნის ნაცვლად მიიღეს და გამოზარდეს 82 ბატკანი. 2 ტონა და 400 კილოგრამის ნაცვლად სახელმწიფოს 3 ტონა და 200 კილოგრამი მატყლი მიჰყიდეს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ისტორიული მიმართვით აღფრთოვანებული მწყემსები მზად არიან კიდევ უფრო კარგი მაჩვენებლებით დაამთავრონ განმსაზღვრელი წელი.

## ტრადიციას აგრძელებს ნანა

ჯავახის კოლმეურნეობაში ბევრი კომკავშირელი სასახელოდ შრომობს.

აი ერთ-ერთი მათგანი — ნანა ადუაშვილი. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ნანამ მწველავად დაიწყო მუშაობა. მხოლოდ შრომითა და გარჯით შეძლო მან ესოდენ სწრაფად მოეპოვებინა სახელი.

პირველსავე წელს ნანამ დიდ წარმატებას მიაღწია: თითოეული ძროხიდან გეგმით გათვალისწინებული 1 280 კილოგრამის ნაცვლად, ათ თვეში, 2 061 კილოგრამი რძე ჩამოწველა.

ქალიშვილს შრომა დაუფასდა, იგი „საპატიო ნიშნის" ორდენით დააჯილდოვეს.

შენი გზა დიდია, ნანა ადუაშვილო! სასახელო შრომით დაიწყე ცხოვრება და წინ ახალ-ახალი გამარჯვებები გელის. ხუთწლედის მეოთხე განმსაზღვრელი წელი, ეჭვს გარეშეა, შენ ახალი მიღწევების და დიდების შუქით შეგმოსავს.

გზას გილოცავთ დიდ საქმეებთან შეჭიდებულო, პატარა სოფლის კომკავშირელო ქალიშვილო!

## ...და სხვა ჯავახელები

ამ პატარა სოფელში იმდენი გამრჯე, იმდენი სასახელო ადამიანი შრომობს, რომ თითოეულ მათგანზე შეიძლება ვრცელი ნარკვევის დაწერა.

ახლაც თვალწინ გვიდგანან ისინი: გამრჯენი, საქმესთან თავდადებით შეჭიდებულნი, სოფლისა და ქვეყნის სიკეთისათვის მებრძოლნი.

აგერ ალექსანდრა ადუაშვილი, ხუთი შვილის დედა, სახელოვანი მებოსტნე და მეკარტოფილე. იგი კოლმეურნეობის გამგეობის წევრია. აგერ სოსია ოქრუაშვილი, რომელსაც ყოველ წელს კარტოფილის უხვი მოსავალი მოჰყავს. აგერ სასახელო შრომით ცნობილი მეღორე — მწყემსი შოთა ანდიაშვილი... და ბოლოს, კოლმეურნეობის თავმჯდომარე გიორგი ოქრუაშვილი. გიორგი ადრე დმანისში მეტყევედ მუშაობდა. ახლა თავისი სოფლის კოლმეურნეობას ჩაუდგა სათავეში, ჩაუდგა და აკი დაატყო კიდეც მადლიანი ხელი.

გასული სამეურნეო წელი კოლმეურნეობამ კარგი მაჩვენებლებით დაამთავრა. გადაჭარბებით შესრულა რძის, მატყლის, ხილის, ბოსტნეულისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების გეგმები.

ხუთწლედის მეოთხე განმსაზღვრელი წელი კარგად დაიწყეს ჯავახელებმა. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვამ პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი ახალი ძალა და ენერგია შემატა მათ. ჯავახელებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი, კიდევ უფრო ამრავლონ შრომითი მიღწევები. წრევანდელი წელი ახალი გამარჯვებებისაკენ უხმობს ჯავახელებს.

**სოლომონ დემურხანაშვილი,**

**უშანგი ბედია.**

კარლო კობერიძე

ფოტო თ. არჩვაძისა



# ლეილა ვიბლიანი და მისი მეგობრები

ნიკო ლორთქიფანიძეს ერთი ასეთი ზღაპარი აქვს: მეფე ხელოვანს დაიბარებს და ავალებს, ისეთი ბეჭედი უნდა გამიკეთო, რომლის ბადალი მთელი დედამიწის ზურგზე არ იქნებაო — თან დათქმულ დროს აძლევს. ხელოვანი უარს არ ეუბნება. დრო სწრაფად გადის — დათქმული ვადა იწურება. ხედავს მეფე, ხელოვანი არაფერს აკეთებს — ჯერ არც შესდგომია საქმეს, მარტო ტყე-ღრესა და მინდორ-ველად დახეტიალობს. უკვირს მეფეს, ძალიან უკვირს. ბოლოს ველარ მოითმინა და ჰკითხა. რატომ არ აკეთებ ბეჭედსო. ხელოვანი პასუხობს. მეფეო, ვაკეთებ და მალე მზად იქნებაო; მაგრამ გამკეთებლისა არაფერი ეტყობა — ისევ მინდორველსა და ტყე-ღრეში დაეხეტება. და აი, დათქმული ვადის უკანასკნელ დღეს, სულ რაღაც ორიოდე წუთში, ხელოვანი ისეთ ბეჭედს აკეთებს, რომლის ბადალს, მართლაც, ვერსად ნახავთ, მთელი ქვეყანა რომ მოიაროთ. გაოცებულია მეფე, თუ ასე უცებ გაკეთება შეგეძლო, რატომ აქამდე არ გააკეთეო. .მაშინ ხელოვანი ჰკადრებს: მეფეო, ამ ბეჭედს ზუსტად იმ წუთიდან ვქმნიდი, რომელი წუთიდანაც დამავალეო. მე რომ არ მეფიქრა, არ დავკვირებოდი ხეებს, ფოთლებს, ბალახებს... ვერც ასეთ ბეჭედს გავაკეთებდიო.

რა თქმა უნდა, ეს მშვენიერი ზღაპარი იმასაც მიგვანიშნებს, რომ თვითონ ბუნებაა უდიდესი ხელოვანი, მაგრამ ამ შემთხვევაში უმთავრესი სხვაა: ოცნების, ფიქრის, დაკვირვების გარეშე სასიკეთო როდის რა შექმნილა!

ყოველივე სასიკეთო ჯერ ფიქრს შეუქმნია, შემდეგ — მარჯვენას. ყოველთვის და ყველგან მხოლოდ ამგვარი ფიქრი რომ იმარჯვებდეს, რაღა უჭირდა ადამიანს! არსებობს კეთილი — ეს იმას ნიშნავს, ბოროტიც საძებარი არ არის. ამ სიბრძნესაც ჩვენი ერთგული, უღალატო მასწავლებელი — ბუნება გვასწავლის. სწორედ ის ბოროტი ფიქრი იყო, თვითმფრინავების გუგუნად, ქვემეხების გრუხუნად, ტყვიების წივილად რომ მოედო ქვეყანას და ვის ერთბაშად, ვის თანდათან მოუტანა ობლობა, დაქვრივება, ნგრევა, უბედურება...

ჩვენც ვყოფილვართ ბავშვები და ჩვენც გვიოცნებია. ეს ოცნება ბოროტების, მცონარობის ბადალი კი არა, თქმა არ უნდა, უფროსების მიბაძვის, საკუთარი გზის გაკვალვის ნაადრევი სურვილი იყო. ამიტომაც კეთილია იგი, კეთილი და იმდენად ძვირფასი, ხშირად სინანულით მიგვახედებს ხოლმე უკან.

...ზემო სვანეთში ცხოვრობდა გოგონა — ლეილა ვიბლიანი. დედაც ჰყავდა, მამაც, და-ძმანიც.

ლეილაც სხვა ბავშვებივით სკოლაში დადიოდა, სხვა ბავშვებივით სწავლობდა. სხვა ბავშვებივით ოცნებობდა ლეილა — დიდ, შორეულ ქალაქებსა და შორეულ ზღვებზე... ეს ოცნება ყოველთვის წიგნებიდან და იმ კინოფილმებიდან იღებდა სათავეს, დროდადრო სოფლის კლუბში რომ უჩვენებდნენ ხოლმე. ამიტომ იყო, მაინცდამაინც მიუწვდომლად აღარ ეჩვენებოდა ის შორეული ქალაქები და ზღვები: რაკილა იქაც ადამიანები არიან, ეს იმას ნიშნავს, აღარც მიუწვდომელიაო...

სოფელში როდის გამოლეულა ბავშვი; არც ბავშვი გამოლეულა და არც მოხუცი. ისეთი მოხუცი კი სად გაგონილა, ზღაპარი არ იცოდეს! თითქოს ახალგაზრდობიდან მოხუცებულობამდე იმიტომ გამოიარეს ამ სიგრძე გზა, ბევრი ზღაპარი რომ ესწავლათ.

ლეილაც ისმენდა ზღაპრებს. ის ზღაპრები სვანეთის მთებში იწყებოდნენ, ივლიდნენ, იხეტიალებდნენ და ბოლოს თვალებს რულად მოეკიდებოდნენ ხოლმე. ბოროტმა ალქაჯებმა თვალშეუდგამ კოშკში გამოამწყვდიეს მზეთუნახავი. ტირის მზეთუნახავი, მარგალიტის ცრემლითა ტირის, მხსნელს ელოდება. მხსნელიც მალე გამოჩნდება.







აბა, ისე სად თქმულა ზღაპარი?! ზღაპრის სიბრძნეც სწორედ იმაშია, რომ ბოროტი ვერასოდეს ვერ იმარჯვებს, კეთილი იმარჯვებს ყოველთვის!..

...სვანეთს ვახსენებთ და უპირველესად კოშკები წარმოგვიდგება თვალწინ — მაღალი, ზვიადი, მხოლოდ სვანეთისთვის დამახასიათებელი კოშკები. ეს ისეთი აუცილებლობაა, რომლის გარეშე წარმოუდგენელია სვანეთი!

საუბარი კოშკებით დავიწყეთ.

— ბევრი კოშკია თქვენს სოფელში? — ვეკითხები ლეილა ვიბლიანს.

— არც ერთი! — ეღიმება ჩემს თანამოსაუბრეს.

ვიფიქრე, ყურმა მომატყუა-მეთქი. ალბათ, შემატყო და გაიმეორა:

— ჩვენს სოფელში კოშკები არ არის!

— თქვენი სოფელი ისტორიის გარეთ დარჩა? რა მიზეზია?!

— სულ უბრალო: ჩემი სოფელი ნაკრა ორმოცი-ორმოცდახუთი წლისაა. ადრე სხვაგან ვცხოვრობდით.

— ჰო, ახლა აღარ აშენებენ კოშკებს...

— ძველი კი მოვლა-პატრონობას მოითხოვს! ისტორიული ძეგლები მტრისგან დავიცავით და ახლა ერთმანეთისაგან ველარ დაგვიცავს...

ლეილა ვიბლიანმა ცხრა კლასი მშობლიურ სოფელში დაამთავრა და მერე თბილისისკენ გამოუწია გულმა. მშობლები და დედმამიშვილები ამ სურვილს წინ არ გადასდგომიან.

ახალგაზრდას მოწადინებას რომ შეატყობენ, საბედნიეროდ, ხელის წამშველებლებიც გამოჩნდებიან ხოლმე. ლეილასაც გულთბილად დახვდნენ თბილისის აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში.

1963 წელს ლეილა ვიბლიანი უკვე მქსოველია.

თავდაპირველად უჭირდა მუშაობა: მისთვის უცხო გარემო, ასე თუ ისე, უცხო ადამიანები, უცხო დაზგები... მაგრამ შეგირდობის დრო ილევა და გუშინდელი უცხო ადამიანები უკვე შინაურები არიან, აღარც დაზგებს სცხია უცხოობის ნიშანწყალი.

დღე და ღამეს ასწორებდა ლეილა: წიგნი და დაზგა, დაზგა და წიგნი! იცოდა: ცოდნის გარეშე ნაბიჯს ვერ გადაადგამდა წინ. იმათაც კი, რომლებსაც პრაქტიკოსებს ეძახიან, ვერავინ იტყვის, რამდენი მეცადინეობა, ჯაფა დასჭირდათ, მინდობილი საქმის საიდუმლოება რომ ამოეხსნათ. წიგნი კი ამ ჯაფას ერთიასად ამცირებს.

სწავლობდა და თან მუშაობდა ლეილა. ისე დაამთავრა თერთმეტი კლასი, სამუშაო არ გაუცდენია, ერთხელაც არ მომხდარა, გეგმა არ შეესრულებინოს. დროის სწორად განაწილება წარმატების საწინდარია! მხოლოდ ისინი ვერ ასწრებენ ჩაფიქრებული საქმის გაკეთებას, რომლებსაც არაფრად მიაჩნიათ დღე, საათი, წუთი. უქმად დაკარგული დრო — დაუდევრად გაფლანგული ქონებაა!

ლეილას არასოდეს უფიქრია, თავი გამოეჩინა. მუშაობდა მხოლოდ იმიტომ, რომ ეს მისი მოწოდება იყო. იცოდა: ადამიანს უსაქმურობა არ ეპატიება.

სხვებიც მუშაობდნენ, გეგმებს ასრულებდნენ— თავს არ იზოგავდნენ და არც ლეილა იხევდა უკან — ლეილაც თავდადებულად მუშაობდა. რატომ უნდა იყო ჩამორჩენილი, როცა შეგიძლია მოწინავე გახდე!

მქსოველების უმეტესობა თითქმის თანატოლები იყვნენ, ზოგიერთები ახლახან ჩამოვიდნენ სოფლებიდან და ამანაც დაამეგობრა ერთმანეთთან.

მეგობრობა ძნელსავალ გზას ამოკლებს, მწუხარებას ამსუბუქებს, კაცს ასწავლის ცხოვრების აუცილებელ სიბრძნეს — ადამიანის სიყვარულს, გამტანობას, თანაგრძნობას.

სურათზე: ლეილა ვიბლიანი (ზემოთ). მქსოველები — ნათელა თუმანიშვილი, ვენერა წიკლაური და ლოლა ჭანკოტაძე

ვენერა წიკლაური მანგლისელია. მანგლისში დაამთავრა საშუალო სკოლა და თითქმის მაშინვე საქსოვ დაზგას მიაშურა. აქ, ამ ფაბრიკაში გაიცნო ლეილა ვიბლიანი. ახალბედა მქსოველებს ბევრი რამ ჰქონდათ საერთო — ასაკი, გამოუცდელობა, მომავლის გზა...

აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის ეზოში ახალგაზრდა ინჟინერი ლალი ჯავახიშვილი შემომხვდა. ვიცოდი, ინჟინერი რომ იყო, მაგრამ უფრო პოეტად ვიცნობდი — „ცისკარსა“ და სხვა ჟურნალ-გაზეთებში მშვენიერი ლექსები გამოაქვეყნა.

— მე გიმეგზურებთ! — მითხრა ლალიმ და საამქროში შემიძღვა.

დავდივართ და თან დაზგებს მიხსნის: ეს-ეს არის, ის-ის არისო. ხმაურში არაფერი მესმის. თავს ისე ვაჩვენებ, თითქოს არაფერი გამომპარვია, თითქოს მსხვილმანიც და წვრილმანიც ორჯერ-ორივით გავიგე.

დაზგები რიტმულად გრუხუნებენ.

— ჟუჟუნა გავაშელს ვეძებთ! — უყვირის ლალი საამქროს უფროსს.

— მეორე ცვლაშია!

— ასმათ წამალაშვილი?

— ისიც!

— ახლა არ თქვა, ნათელა თუმანიშვილიც მეორე ცვლაშიაო!

— გცოდნია და რაღას მეკითხები!

— ლოლა ჭანკოტაძე?

— ორი საათის შემდეგ მოვა!

ლეილას მეგობრებს შორის ყველაზე უმცროსი ლოლა ჭანკოტაძეა. იგი ფაბრიკაში გვიან მოვიდა, მაგრამ მალე შეითვისა მქსოველის პროფესია და მხარში ამოუდგა უფროს კოლეგებს. გამრჯე, ალალმართალი მუშის საქმიანობა არასოდეს რჩება უყურადღებოდ. შეატყვეს ლოლას, საქმის ღალატი არ შეეძლო და აკი ღირსეულად დააფასეს — რესპუბლიკის კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის წევრად აირჩიეს...

კიდევ ერთი დაგვრჩა მოსაძებნი — ვენერა წიკლაური.

ვენერა, ბედად, საამქროში დაგვხვდა. იმ ხმაურში აბა რას გავიგონებდით. ლალი ჯავახიშვილმა სთხოვა, ცოტა ხანს მოსაცდელში გავიდეთო.

დაზგებს გავხედე და ნაბიჯი შევანელე:

— თქვენს აქ არ ყოფნაში დაზგა რომ გაჩერდეს?!

ვენერას გაეღიმა:

— არა, ასე ადვილად არ გაჩერდება!..

ორიოდე წუთით ვისაუბრეთ, თან თვალი საამქროსკენ ეჭირა. ამას ვეკითხები, იმას, ის კი ერთსა და იმავეს იმეორებს:

— ვმუშაობთ და გეგმაც სრულდება, ვალდებულებაც!

ეს იყო და ეს — მეტი არაფერი უთქვამს.

— სხვათა შორის, — მეუბნება ლალი, — ვინც ახლა მეორე ცვლაშია და ვერ ვნახეთ, ვერც მათგან გაიგებდით უფრო მეტს. ისე რომ, მათი უნახაობით გული ნუ დაგწყდებათ!

ლეილას მეგობრები გამრჯე, პატიოსანი ოჯახის შვილები არიან და შრომაც ამიტომ ეხალისებათ და უყვართ. ბავშვების აღზრდაში რომ ოჯახია მთავარი, ახლა ამაზე აღარავინ დაობს...

ისევ საამქროში ვბრუნდებით.

— რომელია თქვენი დაზგა? — ვეკითხები ვენერას.

— აი, ესენი — ცამეტი! — ხელით მანიშნებს.

— ცამეტი?

— რა გიკვირთ, აქ ყველანი ცამეტ-ცამეტ დაზგას ვემსახურებით... პნევმატურ დაზგას!

პნევმატური დაზგა თურმე ის ყოფილა, მაქო რომ არა აქვს.

თბილისის საწარმოო აბრეშუმის გაერთიანება ათასნაირ საკაბე, სასარჩულე, ფაკარდულ (ქსოვის პროცესშივე რომ აჩნდება სურათსახეობა) ქსოვილებს ამზადებს. ამ გაერთიანების შიფონს სახელმწიფო ხარისხის ნიშანი აქვს. ეს დიდი პატივი კი, როგორც იტყვიან, ციდან არ ჩამოფრენილა.



ლეილა ვიბლიანმა გაიარა ის სასახელო შრომითი გზა, რომელმაც გუშინდელი მქსოველი ამ უდიდესი გაერთიანების პარტიული ორგანიზაციის მდივნობამდე მიიყვანა.

1969 წლიდან იგი კომუნისტური პარტიის წევრია.

ლეილა ვიბლიანი საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ისევ სახელმძღვანელოს მიუბრუნდა. ბეჯითმა შრომამ სასურველი ნაყოფიც გამოიღო: ამჟამად მოსკოვის პროფკავშირული მოძრაობის უმაღლესი სკოლის დამამთავრებელი კურსის სტუდენტია.

დრო გადიოდა და ცოდნა, გამოცდილება თანდათან ემატებოდა. ბოლოს პრესაც დაინტერესდა ლეილას საქმიანობით. იგი გაიცნო ხალხმა, ქვეყანამ. იმითაც დაუფასდა შრომითი თავდადება, რომ რესპუბლიკის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრად და საბჭოთა კავშირის საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატად აირჩიეს.

1963 წლიდან მოკიდებული — გასული წლის აპრილამდე ლეილა მქსოველის დაზგას არ მოსცილებია. აპრილში პარტიის თბილისის ორჯონიკიძის რაიკომის ინსტრუქტორად დააწინაურეს; ხოლო ნოემბრიდან თბილისის საწარმოო აბრეშუმის გაერთიანების პარტიული ორგანიზაციის მდივანია.

გუშინდელი მქსოველი დღეს უკვე პარტიული ხელმძღვანელია. მუშა რაიმე საწარმოო საქმეზე რომ მიაკითხავს, ახსნა-განმარტება აღარ სჭირდება, გამოცდილება აკლია თუ რა?! ესეც არ იყოს, ყველა მისი ნაცნობია, მეგობარია და ყველასთვის ერთნაირად შესტკივა გული.

პრაქტიკამ დაამტკიცა, რომ წარმოება-დაწესებულების ყველაზე უკეთესი ხელმძღვანელები სწორედ ისინი არიან, რომლებმაც რიგითი მუშის სპეცტანსაცმლით დაიწყეს ცხოვრების დიდ სარბიელზე გამოსვლა. მათი უშუალობა, გულისხმიერება და უბრალოება მისაბაძი მაგალითია ყველასათვის. მათთვის უცხო არ არის ხელებზე დამჩნეული კოჟრები.

ლეილა ვიბლიანის ხელებს ეს კოჟრები ჯერ კიდევ აჩნია...

— მართალი გითხრათ, გული მწყდება, საქსოვი დაზგა რომ მივატოვე. შეჩვევა მაინც სხვაა. გუშინდელი ჩემი კოლეგები როცა მომაკითხავენ ხოლმე, გააღებენ კარს და, შეიძლებაო მკითხავენ, გული მწყდება...

გულწრფელი წუხილი თანაგრძნობას იწვევს ყოველთვის...

ლეილა წლების განმავლობაში ფაბრიკის საერთო საცხოვრებელში ცხოვრობდა. ამიტომაც კარგად იცის საერთო საცხოვრებლის ავ-კარგი. ამ ავ-კარგს კი დროული მიხედვა უნდა!..

ფაბრიკაში ბევრია ფეიქართა ოჯახი. ძველი მუშები მიდიან და მათ ადგილს ახლები იკავებენ.

არ შეიძლება დაივიწყო, ვინც პენსიაში გავიდა, ამიტომ ფაბრიკაში ვეტერანის დღე დააწესეს. ვეტერანები ყოველი წლის ოთხ დეკემბერს იკრიბებიან და იხსენებენ წარსულს, ახალგაზრდობას, დალხინებასაც და გასაჭირსაც.

ლეილა ვიბლიანსა და მის მეგობრებს მომავალი წინა აქვთ; მომავალი კი რწმენასა და იმედს ნიშნავს, უკეთესობის იმედს!

— ნედლეულით წულუკიძე, თელავი, მახარაძე გვამარაგებს... ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდანაც შემოგვაქვს ნედლეული. მაგრამ ზოგჯერ აგვიანებენ, ზოგჯერ უხარისხოა... ესეც გვაწუხებს... წელს კარგად გვაქვს საქმე! — ამბობს ლეილა, მერე ჩაფიქრდება და ამატებს, — მოწადინებაა მთავარი!..

მართლაც, მოწადინებაა მთავარი, ოღონდ ამ სიტყვის მნიშვნელობა და ძალა ყველას ერთნაირად უნდა ესმოდეს — ესეც მთავარია!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ანასეული მეცნიერთა ქალაქი

ჩვენ სუფრას ხშირად ამშვენებს მანდარინი, ფორთოხალი, ლიმონი... სასიამოვნო სასმელია ჩაი, განსაკუთრებით ლიმონით.

ყველას გვიყვარს ციტრუსები და ვამაყობთ, რომ იგი საქართველოს მადლიანი მიწის ნაყოფია.

ჩვენ ვიცით, რომ საბჭოთა კავშირში ჩაი 77 ათას ჰექტარზეა გაშენებული, აქედან საქართველოში — 67 ათას ჰექტარზე. შარშან ჩვენს ქვეყანაში მოკრეფილი 301 ათასი ტონა ჩაის ფოთლიდან ქართველმა მეჩაიეებმა მოკრიფეს 287 ათასი ტონა.

1921 წლიდან დღემდე საქართველოში ჩაის პლანტაციების ფართობი გაიზარდა 65-ჯერ, ჩაის ფოთლის წარმოება — 522-ჯერ, ხოლო საშუალო საჰექტარო მოსავლიანობა — თითქმის 10-ჯერ.

ასეთივე გიგანტური ნაბიჯებით წავიდა წინ სხვა სუბტროპიკული კულტურების გაშენება და მოსავლიანობა.

შეიძლება ბევრმა არც კი იცის, რომ ამ მიღწევებში განუსაზღვრელი წვლილი შეიტანა სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის მეცნიერებამ, რომლის „გენერალური შტაბი“ მოთავსებულია მახარაძიდან ორიოდე კილომეტრის დაშორებით — ანასეულში.

ანასეული მაღლობზეა გაშენებული.

მას სიყვარულით მეცნიერთა ქალაქს ეძახიან.

მარადმწვანე ხეთა ხეივნებში გაწოლილ მოასფალტებულ გზას მთავარ კორპუსამდე მივყავართ. სწორედ აქ გახლავთ მოთავსებული ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სრულიად საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.

ეს ინსტიტუტი 1930 წელს შეიქმნა. იმ დღიდან მოყოლებული, აქაური მეცნიერები ნაყოფიერად იღწვიან იმისათვის, რომ სუბტროპიკულმა სოფლის მეურნეობამ ყოველწლიურად წინ გადადგას ნაბიჯი. მათი მთავარი მიზანია ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების გაშენების, მოვლა-მოყვანის საქმეში შექმნან ახალი, მოწინავე, საუკეთესო მეთოდები; დაასაბუთონ ისინი მეცნიერულად, ეკონომიურად და შემდეგ დანერგონ წარმოებაში. ამ მიმართულებით ინსტიტუტს ბევრი, ძალიან ბევრი რამ აქვს გაკეთებული.

ინსტიტუტმა თავისი არსებობის მანძილზე შექმნა სუბტროპიკული კულტურების მოვლა-მოყვანის მთელი სისტემა, რომელიც მოიცავს სხვადასხვა სპეციალობის მეცნიერთა მოღვაწეობას აგროტექნიკის, სელექციის, აგროქიმიის, მცენარეთა დაცვის, მექანიზაციის, კლიმატოლოგიის, ნიადაგმცოდნეობის, ეკოლოგიის, ფიზიოლოგიის, მიკრობიოლოგიის, ეკონომიკა-ორგანიზაციის და სხვა დარგებში.

მეცნიერების ეს დარგები ინსტიტუტში ახლა განყოფილებების სახითაა წარმოდგენილი. ყველა განყოფილება თავისი კუთხით, მაგრამ სხვა განყოფილებებთან მჭიდრო კავშირში, იკვლევს სუბტროპიკული კულტურების გაშენების და მოვლა-მოყვანის ახალ, ეფექტურ მეთოდებს.

ავიღოთ თუნდაც ციტრუსოვანთა სელექციის განყოფილება, რომელსაც ხელმძღვანელობს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი შოთა გოლიაძე. ეს განყოფილება ორი ათეული წელია რაც შეიქმნა. მისი კონკრეტული მიზანია ციტრუსოვანთა ყინვაგამძლე და ავადმყოფობაგამძლე ჯიშების გამოყვანა. ამავე დროს, ის ახალი ჯიში, რომელსაც ეძიებენ, უნდა ხასიათდებოდეს უხვმოსავლიანობით, ადრე მწიფადობით და ნაყოფის საუკეთესო ხარისხით.

ამოცანა მეტად რთული და სადღეისოა. მის გადასაწყვეტად განყოფილებაში მიმართავენ სელექციის მრავალ გზასა და მეთოდს: მასიურ სელექციას, ჰიბრიდიზაციას, ქიმიური და ფიზიკური ფაქტორების ზემოქმედებით ხელოვნური მუტაციების მიღებას... ის კი არა, ორი სხვადასხვა თვისების მქონე მცენარის ფოთლებიც კი დაამყნეს ერთმანეთზე, დააფესვიანეს და ამ გზით მიიღეს ახალი მცენარე.

მკაცრად შერჩეული ახალი მცენარეები საცდელ ნაკვეთებზე გადიან საკონკურსო ჯიშთა გამოცდას. თუ რომელიმე მათგანმა გამოცდა „ფრიადზე“ და „კარგზე“ ჩააბარა მეცნიერებს, მაშინ მას საგზურს აძლევენ წარმოებაში დასანერგად. მაგალითად, ასეთი გამოცდა „კარგად ჩააბარა“ მანდარინის საადრეო, უხვმოსავლიანმა კლონმა, რომელიც სამ-ოთხი კვირით ადრე მწიფდება, ვიდრე ჩვეულებრივი მანდარინი „უნშიუ“.

საადრეო მანდარინის უპირატესობა იმაშია, რომ იგი ადრე მწიფდება, ადრე იკრიფება, თოვლი და ყინვა ვერ უსწრებს, თანაც ნაყოფი უკეთესი ხარისხისაა.

სუბტროპიკული კულტურების აგროტექნიკის განყოფილება სწავლობს ჩაის, ციტრუსოვნების, კეთილშობილი დაფნის, ტუნგოს, ბამბუკის, ფეიჰოიასა და სხვა სუბტროპიკული კულტურების უხვი და მაღალხარისხოვანი მოსავლის მიღების აგროტექნიკურ ღონისძიებებს.

განყოფილებამ, რომელსაც 1954 წლიდან ხელმძღვანელობს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი სიმონ ფირცხალაიშვილი, მეცნიერულად შეისწავლა და წარმოებაში დანერგა ისეთი ძირითადი აგროტექნიკური ღონისძიებები, როგორიცაა: სუბტროპიკული კულტურების პლანტაციების გასაშენებლად ფერდობების ათვისება, მცენარეების სიხშირე, განლაგება, რიგთაშორისებში ნიადაგის მოვლის სისტემა და სხვა.

ავიღოთ თუნდაც ჩაის კულტურის გაშენება. მაშინ, როცა ამ საქმეში სამამულო გამოცდილება არ გაგვაჩნდა, ჩაის გაშენების ტექნოლოგია ჩინეთიდან გადმოვიღეთ. ჩაის ბუჩქებს ვაშენებდით ჰადრაკულად, რაც ხელით დიდ შრომას მოითხოვდა. მაგრამ გავიდა ხანი და სწორედ აქ, ამ ინსტიტუტში დაადგინეს ჩაის შპალერულად გაშენების უპირატესობა. ამ წესით გაშენებული ჩაის პლანტაცია უფრო მაღალმოსავლიანია, აგროტექნიკურ ღონისძიებათა გატარება ადვილდება, მექანიზაციასაც უფრო რაციონალურად ვიყენებთ.

აქვე შეიმუშავეს ჩაის პლანტაციების დამუშავების ახალი მეთოდები. წინათ ჩაისა და ციტრუსების პლანტაციებში ერთ-ერთ აუცილებელ აგროტექნიკურ ღონისძიებად ითვლებოდა ძირების შემობარვა. მეცნიერები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ეს ღონისძიება სასარგებლო კი არა, საზიანო იყო. შემობარვის დროს ფესვების გარკვეული რაოდენობა იჭრებოდა, ზიანდებოდა. ეს უარყოფით გავლენას ახდენდა მოსავლიანობაზე, მრავალი ცდის შედეგად დამტკიცდა, რომ ძირების შემოუბარავად დატოვებულმა პლანტაციებმა დაახლოებით 10-12 პროცენტით მეტი და მაღალხარისხოვანი მოსავალი მოგვცა. გარდა ამისა, დაიზოგა უამრავი დრო, მუშახელი, შემცირდა ხარჯები და გაიაფდა პროდუქციის თვითღირებულება.

ნიადაგმცოდნეობის, მელიორაციისა და მიკროლოგიის განყოფილება, რომელსაც ხელმძღვანელობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი მიხეილ დარასელია, წლების განმავლობაში სწავლობდა სუბტროპიკული მეურნეობის განვითარების მთელ რიგ აქტუალურ საკითხებს. მათ შორის მთავარია სუბტროპიკული რაიონების ნიადაგის საფარის შესწავლა, პლანტაციების გასაშენებლად ვარგისი მიწების საერთო ფონდის დადგენა, სუბტროპიკული ნიადაგების მელიორაცია, ჩაის პლანტაციის გასაშენებლად ნიადაგის პირველადი დამუშავების რაციონალური ხერხების დადგენა და სხვა.

მეცნიერების წინაშე სხვა გადაუჭრელი პრობლემებიც დგას. მაგალითად, ჩაისა და ციტრუსოვანთა პლანტაციების მორწყვის ხერხების დამუშავება, ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებათა დადგენა, კოლხეთის დაბლობის ჭარბტენიანი ნიადაგების ათვისების ღონისძიებათა სისტემის შექმნა, სუბტროპიკული ზონის ნიადაგების გენეზისისა და მათი გაკულტურების დიაგნოსტიკური მაჩვენებლების დადგენა და სხვა.

ჩვენ აქ საშუალება არა გვაქვს გავაცნოთ ყველა განყოფილებისა და ლაბორატორიის მუშაობა, რადგან მათი რიცხვი თხუთმეტამდეა. ინსტიტუტს აქვს რვა ფილიალი და საყრდენი პუნქტი, ორი ექსპერიმენტული მეურნეობა.

ინსტიტუტში მუშაობს 217 მეცნიერი მუშაკი, აქედან ათი მეცნიერებათა დოქტორია, ერთი აკადემიკოსი, ერთი აკადემიის წევრ-კორესპონდენტი და 79 მეცნიერებათა კანდიდატი. ინსტიტუტის ასპირანტურაში სწავლობს 45 კაცი.

მთელი ეს კოლექტივი, რომელსაც ხელმძღვანელობს ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატი ვ. ჯაყელი, განმსჭვალულია ერთი სულისკვეთებით: ეძიებდნენ და ჰპოვებდნენ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვამ პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი დიდი აღმავლობა გამოიწვია მეცნიერთა ქალაქში. მეცნიერებმა გადაწყვიტეს, კიდევ უფრო ფართოდ გაშალონ კვლევა-ძიება, სწრაფი ტემპით წარმართონ მეცნიერული სამუშაოები, მიაღწიონ ახალ-ახალ წარმატებებს. მეცნიერთა მონაპოვარი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კუთვნილება გახდება. ეს იქნება ანასეულელ მეცნიერთა წვლილი ჩვენი ქვეყნის სუბტროპიკული რაიონების სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების საქმეში, მეცხრე, განმსაზღვრელი წლის წარმატებით დაგვირგვინებაში.

ვალერიან ჩეკურიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ო. თორდია.
წითელი მარმარილოს კარიერი.

## გამოფენიდან „დიდება შრომას!“

ჯ. მირზაშვილი. თეთრი კარიერები. წითელწყაროში.











# ძიება გრძელდება

● ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი გრიგოლ ჩილინგარაშვილი და ინჟინერი გურამ ბედუკიძე (წინაპლანზე) აანალიზებენ ბეტონის ხარისხს.

● აქ სწავლობენ ენგურჰესის ტურბოგენერატორებს.

● ინსტიტუტის გამოთვლითი ცენტრი.

● ვარციხჰესის წყალმიმღებისა და კალაპოტის მოდელური შესწავლა.

● ბიჭვინთის კომპლექსის მოდელური შესწავლა.

● კაშხალის მოდელური გამოცდა ტემპერატურის ცვალებადობის პირობებში.

● მიმდინარეობს მორიგი ცდა.

● ბეტონის თბოტექნიკური თვისებების გამოსათვლელი დანადგარების სამართავი პულტი.

ფოტო თარხან არჩვაძისა.











დ. გრიგოლია. თიბათვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### გამოფენიდან

# „დიდება შრომას!“



გ. ჩუბინიძე. მუშის პორტრეტი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტურმა რესპუბლიკამ ამას წინათ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წითელი დროშა მიიღო.

ეს დიდი ჯილდო ჩვენმა რესპუბლიკამ მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და ინტელიგენციის თავდადებული შრომით მოიპოვა.

ქართველი ხალხის თავდადებულ შრომას მიეძღვნა ჩვენი რესპუბლიკის მხატვართა ნამუშევრების გამოფენა, რომელიც ამას წინათ სურათების სახელმწიფო გალერეაში მოეწყო.

საქართველოს მხატვრებმა თავიანთ ნამუშევრებში ასახეს მეცხრე ხუთწლედის გმირები — მშენებლობის, მრეწველობის, ტრანსპორტის მუშაკები, საკოლმეურნეო შრომის მოწინავე ადამიანები, გამოჩენილი მეცნიერები.

გამოფენაზე ოთხმოცი მხატვრის სამასზე მეტი ნამუშევარი იყო ექსპონირებული.

გამოფენაში უფროსი თაობის მხატვრებთან ერთად მონაწილეობდნენ საშუალო და ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლები.

# ძიება გრძელდება

ენერგეტიკისა და ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი რამდენიმე წლის წინათ ჩამოყალიბდა.

დროის ამ მცირე მონაკვეთის მიუხედავად, ინსტიტუტი მთელს ამიერკავკასიაში ერთ-ერთ მსხვილ და წამყვან სამეცნიერო დაწესებულებად გადაიქცა.

ინსტიტუტის კაბინეტებსა და ლაბორატორიებში ამჟამად მუშავდება მთელი რიგი ისეთი აქტუალური პრობლემები, როგორიც არის: ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკების პერსპექტიული სათბობ-ენერგეტიკული ბალანსის შედგენა, კავკასიის ტერიტორიაზე არსებული ჰიდროელექტროსადგურების მეცნიერული შესწავლა, შავი ზღვის სანაპირო ზოლის გამოკვლევა და სათანადო ღონისძიებათა დამუშავება ტალღების ზემოქმედებისაგან ამ ზოლის დაცვის მიზნით.

ინსტიტუტს დავალებული აქვს, ენგურის უნიკალურ ჰიდროელექტროსადგურზე ბეტონის დამზადებისა და მისი კაშხალში ჩასხმის ხარისხზე სისტემატური კონტროლის გაწევა. ამ მიზნით, მშენებლობის ტერიტორიაზე ინსტიტუტმა ჩამოაყალიბა სპეციალური ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე პირველხარისხოვანი ტექნიკით და დაკომპლექტებულია კვალიფიციური კადრებით.

ინსტიტუტის ვრცელ დარბაზებში, საგანგებოდ აგებულ მოდელებზე, მეცნიერული კვლევა და დაკვირვება წარმოებს სეისმდგრადობის შესასწავლად, მუშავდება ახალი მეთოდები მიწისქვეშა თერმიული წყლების რაციონალური გამოყენებისათვის, იქმნება ახალი, იაფი და მყარი პოლიმერული საამშენებლო მასალები...

ინსტიტუტში ამ ორიოდე წლის წინათ შეიქმნა ელექტრულ-გამოთვლითი ცენტრი, რომელმაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესა სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების მეცნიერული დონე, დაზოგა დრო, გაზარდა შრომისნაყოფიერება.

ენერგეტიკისა და ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა საქართველოს სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში შემუშავებული და მეცნიერულად დასაბუთებული ასამდე წინადადება და მეთოდი უკვე დაინერგა წარმოებაში. ამ სრულყოფილი მეთოდებისა და წინადადებების დანერგვამ ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობას ყოველწლიურად თხუთმეტი მილიონი მანეთის ეკონომია მისცა.

პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ისტორიულმა მიმართვამ ენერგეტიკისა და ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მთელი კოლექტივი ახალი შემოქმედებითი ენერგიით აღავსო. მათი ერთსულოვანი გადაწყვეტილებაა: დააჩქარონ დიდმნიშვნელოვანი სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები, მეტი ქმედითი დახმარება გაუწიონ სახალხო მეურნეობას და ამით ღირსეული წვლილი შეიტანონ ხუთწლედის განმსაზღვრელი წლის წარმატებით დაგვირგვინებაში.

ნუნუ კუპრეიშვილი

გაზეთი „ვლასტ ტრუდა", რომელიც ირკუტსკში გამოდიოდა, 1922 წლის 19 სექტემბერს წერდა:

„კვირას ირკუტსკის პროლეტარიატი ასაფლავებდა იმას, ვინც მთელი თავისი სიცოცხლე, მხედართა წინამძღოლობის განუზომელი ტალანტი უანგაროდ შესწირა რევოლუციის ინტერესების სამსახურს.

რევოლუციურ ავანპოსტებზე მამაცურად მებრძოლს იცნობდა პაპა კალანდარიშვილს მთელი წითელი ციმბირი. ციმბირის პარტიზანთა ლეგენდარული ბელადის პაპა კალანდარაშვილის სახელი სამუდამოდ აღიბეჭდა წითელი ასოებით დაკაბადონებული ციმბირის რევოლუციური მატიანეს ფურცლებზე. მისი სახელი დარჩება ზღაპრად, ლეგენდად"...

ნესტორ კალანდარაშვილის დაკრძალვის დღე — მთელი ციმბირის გლოვის დღედ გადაიქცა. უსაზღვროდ დამწუხრებული ციმბირის მშრომელები ცხარე ცრემლით დასტიროდნენ „პაპას", რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე რევოლუციის მონაპოვარის დაცვას, ხალხის ბედნიერებას, მისი ნათელი მომავლისათვის ბრძოლას შეალია.

სამოქალაქო ომის ლეგენდარული გმირი ნესტორ ალექსანდრეს ძე კალანდარიშვილი დაიბადა 1874 წლის 4 აპრილს, ოზურგეთის მაზრის სოფელ კვირიკეთში.


ეროვნული ბიბლიოთეკა

ნესტორ კალანდარიშვილი

# რევოლუციის ჯარისკაცი

ნ. კალანდარიშვილის დაბადების 100 წლისთავი

სოფლის სკოლის დამთავრების შემდეგ იგი ჯერ ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში სწავლობდა, შემდეგ ქუთაისის გიმნაზიაში, 1900 წელს კი თბილისის სამასწავლებლო სემინარიაში განაგრძო სწავლა.

რევოლუციური მოღვაწეობისათვის ნ. კალანდარიშვილი სამასწავლებლო სემინარიიდან გარიცხეს. იგი იძულებული გახდა არალეგალურად დაეწყო ცხოვრება.

ნ. კალანდარიშვილი აქტიურ რევოლუციურ მოღვაწეობას ეწევა გორში, თბილისში, ქუთაისში, ბათუმში. მშრომელ მასებში აღვივებს თვითმპყრობელობისადმი სიძულვილს, ავრცელებს პროკლამაციებს, მარქსისტულ ლიტერატურას.

1908 წელს ნ. კალანდარიშვილი იძულებული გახდა საქართველოს გასცლოდა და ციმბირში — ქ. ირკუტსკში ჩასულიყო.

რკინიგზის გაყვანის შემდეგ აღმოსავლეთ ციმბირის ცენტრში თავი მოიყარა ბევრმა ქართველმა. ქართველთა ახალშენში ნ. კალანდარიშვილმა მალე მოიპოვა საერთო აღიარება. მისი პოპულარობა თანდათან უფრო ვრცელდება ციმბირელ მშრომელებში. პოლიცია ფეხდაფეხ დასდევს ნ. კალანდარიშვილს, მას რამდენჯერმე აპატიმრებენ, მაგრამ გამოცდილი რევოლუციონერი „ბრალდების დაუმტკიცებლობის გამო", ყოველთვის ახერხებს თავი დაიძვრინოს პასუხისმგებლობისაგან.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ პეტროგრადში, ახალი ენერგია შემატა ციმბირელ რევოლუციონერებს. ირკუტსკში შეიქმნა სამხედრო რევოლუციური კომიტეტი, რომელმაც ძალაუფლების საბჭოების ხელში გადასვლა გამოაცხადა. რევოლუციურმა კომიტეტმა წინადადება მისცა იუნკრებს იარაღი დაეყარათ, მაგრამ რეაქციული ძალები ამ წინადადებას არ დაემორჩილნენ. მათ კონტრრევოლუციური აჯანყება მოაწყვეს.

ნ. კალანდარიშვილმა თავის ირგვლივ შემოიკრიბა მრავალი ერის წარმომადგენელი, რომლებიც იარაღით ხელში გამოვიდნენ საბრძოლველად.

იუნკერთა აჯანყების განადგურების შემდეგ ნ. კალანდარიშვილს კავალერიის დივიზიონის ჩამოყალიბება დაევალა.

1918 წლის გაზაფხულზე ნ. კალანდარიშვილის მიერ ახლადჩამოყალიბებულმა ირკუტსკის I დივიზიონმა თავი ისახელა თეთრგვარდიელ ატამან სემიონოვის ბანდის განადგურებაში.

სემიონოვის ბანდის განადგურების შემდეგ უცხოეთის იმპერიალისტებმა რუსეთში მყოფი ჩეხებისა და სლოვაკების კორპუსის აჯანყება მოაწყვეს, რომლებსაც თეთრგვარდიელთა შენაერთები უჭერდნენ მხარს.

მალე აჯანყებულების ხელში აღმოჩნდა ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის ძირითადი რაიონები. ირკუტსკი დაეცა. ომსკი თეთრგვარდიელთა ცენტრად იქცა.

შექმნილ ვითარებაში ნ. კალანდარიშვილი პარტიზანული ბრძოლის ტაქტიკას ირჩევს.

ციმბირელი მშრომელები აღფრთოვანებულნი არიან პარტიზანთა მამაცობით. ნ. კალანდარიშვილისა და მისი რაზმის გმირობაზე ლეგენდები იქმნება. პარტიზანთა რაზმის ლეგენდარულ მეთაურს სიყვარულით ყველგან „პაპას" ეძახიან.

1920 წლის დასაწყისიდან ნ. კალანდარიშვილის რაზმი მუსრს ავლებს თეთრგვარდიელი სუკინისა და კაზაკთა ბანდებს. მამაცი მეთაური ინიშნება ვერხოლენსკის დაჯგუფების ჯარების სარდლად.

კოლჩაკელთა ნაშთებთან შეკავშირებულმა იაპონელმა იმპერიალისტებმა 1920 წლის 5 აპრილს შეჭრა დაიწყეს ზღვისპირეთისა და ამურისპირეთის საბჭოთა რაიონებში. ნ. კალანდარიშვილის მებრძოლები სადგურ გონგოტთან შეეტაკნენ ინტერვენტებს.

1920 წლის მარტს ამურის ოლქის კორეელი მოსახლეობის ყრილობამ დაადგინა არმიის შექმნა. მესამე კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელმა კომიტეტმა კორეის რევოლუციური რაზმების მთავარსარდლად ნ. კალანდარიშვილი დანიშნა. 1921 წლის ოქტომბერში ნ. კალანდარიშვილი კორეის რევოლუციურ არმიაზე ანგარიშის წარსადგენად მოსკოვში გაემგზავრა. აქ იგი შეხვდა და ესაუბრა ვ. ი. ლენინს. დიდ ბელადთან შეხვედრამ ახალი ენერგიითა და მტრისადმი შეურიგებელი შურისძიებით აღავსო იგი.

მალე ნ. კალანდარიშვილის სარდლობით გაერთიანებულ სამხედრო შენაერთებს მიენდო იაკუტიაში დაწყებული თეთრგვარდიელთა ავანტურის ლიკვიდაცია. ეს ლაშქრობა უკანასკნელი აღმოჩნდა მგზნებარე მეთაურისათვის. ქ. იაკუტსკიდან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით, 1922 წლის 6 მარტს, ნ. კალანდარიშვილი მტრის ტყვიით განგმირული დაეცა.

სექტემბრის შუა რიცხვებში ლეგენდარული მეთაური ნ. კალანდარიშვილი იაკუტიიდან ქალაქ ირკუტსკში გადმოასვენეს და კომუნარების სახელობის მთაზე დაკრძალეს.

ფრიდონ სიხარულიძე

## სერგო კლდიაშვილის დაბადების 80 წლისთავი



# გამჭრიახი თვალი

გიორგი ნატროშვილი

როცა რაიმე მნიშვნელოვანი თარიღი მოახლოვდება ლიტერატურის ისტორიიდან იქნება ეს, თუ საერთოდ, საზოგადოებრივი ცხოვრების სფეროდან, და როცა ჟურნალ-გაზეთებს ერთი ციებ-ცხელება შეუდგებათ ხოლმე კარგი გამოხმაურების ძებნით გართულებს, ასეთ დღეებში ტელეფონი 36-16-33 გამუდმებით რეკავს. რეკავენ ყველანი — რადიო და ტელევიზია, „კომუნისტი“ და „ლიტერატურული საქართველო“, „მნათობი“ და „ცისკარი“, „დროშა“ და „პიონერი“.. რეკავენ სხვებიც. და ამ ტელეფონის პატრონიც ყველას ერთ პასუხს აძლევს:

— რომელი ხარ? ნათელა? (მედეა, გულიკო, ციალა და ა. შ.) არ შემიძლია, გენაცვალე!

— ძია სერგო, თქვენი იმედითა ვართ!

— ვეღარ ვხედავ, შვილო, თვალი აღარ მიჭრის, ჩემი იმედი ნუ გექნებათ!

მაგრამ ეს ქალბატონები ასე ადვილად როდი მოეხსნებიან ხოლმე საყვარელ ძიას. ცხადია, მათ იციან, რომ ძია სერგოს კარგა მაგრად დააკლდა თვალის სინათლე, მაგრამ ისიც იციან, რომ მოხუცი, ცოტა არ იყოს, აზვიადებს ამ ამბავს და როცა მოინდომებს, სტოპერებსა და სტაიერებს „მეორე სუნთქვა“ რომ აქვთ, ისე ჩართავს ხოლმე „მეორე ხედვას“. ამას გარდა, მათ ისიც იციან, თუ საიდან უნდა გახსნან ციხე-სიმაგრის კარი:

— ძია სერგო, რედაქტორმა მე დამავალა. თუ თქვენი წერილი (მოთხრობა, გამოხმაურება) არ მივუტანე, მომხსნის და საყვედურსაც გამომიცხადებს...

მოხსნა და ზედაც საყვედური... ვერ არის კარგი საქმე! და ძია სერგოც თეთრად ათენებს ღამეს, წერს, თავის ნაფიქრსა და ნააზრევს უზიარებს მკითხველს.

დამწერს როგორ ვერ იშოვის კაცი თბილისში, მაგრამ ამ მოხუცის სიტყვას სხვა მადლი აქვს, სხვა ფასი სძევს. ეს დიდი წონა და დიდი ფასი დასდო მის სიტყვას ჯერ მისმა ბრწყინვალე ბელეტრისტულმა შემოქმედებამ, ურომლისოდაც ქართული საბჭოთა პროზის ისტორიაც და აწმყოც წარმოუდგენელია, და მეორეც — მისმა ბიოგრაფიამ. სერგო კლდიაშვილმა ოთხმოც წელს გადააბიჯა — რა არ უნახავს და ვის არ შეხვედრია ამ გრძელი ცხოვრების გზაზე. ჯერ სულ ახალგაზრდა სტუმრად ყოფილა სხვიტორში აკაკი წერეთელთან და მასთან ერთად მჯდარა გაშლილ სუფრასთან, ჯერ ისევ პატარა ბიჭს, თავისი სახელოვანი მამის — დავით კლდიაშვილის ოჯახში სტუმრად უნახავს ვაჟა-ფშაველა, მოსკოვში შეხვედრია ალექსანდრე სუმბათაშვილ-იუჟინს, ხოლო გალაკტიონ ტაბიძე, პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, გიორგი ლეონიძე, ბევრი სხვები, მისი უახლოესი მეგობრები იყვნენ ჯერ სკოლაში, და მერე სალიტერატურო ასპარეზზე, მათთან ერთად სერგო კლდიაშვილმა საფუძველი ჩაუყარა ახალ ქართულ საბჭოთა ლიტერატურას.

სერგო კლდიაშვილი, როგორც მწერალი, რევოლუციის წიაღში დაიბადა. თავისი პირველი ნაწარმოებებითვე იგი წარსდგა მკითხველის წინაშე, როგორც ნოველის ბრწყინვალე ოსტატი, რომელსაც შეუძლია სადად, ბრძნული უბრალოებით, ნათელი და შთამბეჭდავი სახეებით გადმოსცეს დიდი სათქმელი, დაინახოს ღრმა შინაარსი ერთი შეხედვით უბრალო ამბავში. განვლილი ათეული წლების მანძილზე სერგო კლდიაშვილი ამდიდრებდა ქართულ პროზას, წინ მიჰყავდა იგი, გამოსახავდა რა ჩვენი ხალხის ცხოვრების არსებით მხარეებს, მის მდიდარ ფსიქოლოგიურ სამყაროს; იგი მუდამ აღძრავდა და ეხებოდა ერის ცხოვრების ყველაზე საჭირბოროტო, ყველაზე მტკივნეულ, ყველაზე სასიცოცხლო საკითხებს. ამაზე მეტყველებს მისი „სერაფიტა“, „გორგასალის თასი“, „ქინკა ბიჭები“, „ლაშხეთის ბატონი“, „ხალდე“, „უფსკრული“, „მინდვრის ყვავილი“, „წარმართი“, „შორეული ციალი“, „გამოუცნობი საიდუმლო“, „ჯორდანო ბრუნო“, „დევის კუნძული“ და მრავალი სხვა ნოველა; ამას გარდა, სერგო კლდიაშვილი ავტორია ორი რომანისა „მყუდრო სავანე“ და „ფერფლი“, რომლებშიც ნათელი ასახვა ჰპოვა იმ სოციალურ-პოლიტიკურმა და ფსიქოლოგიურმა ძვრებმა, საქართველომ რომ განიცადა ბოლო ნახევარი საუკუნის მანძილზე. მწერალი აქაც ახლის, პროგრესულის, ყოველივე მოწინავის მხარეზე დგას, მთელი თავისი შემოქმედებით გზას უკაფავს დიდსა და ნათელ ჰუმანიზმს, ადამიანისადმი სიყვარულს; იგი ზრდის მკითხველს იდეურად და ზნეობრივად, ამაღლებს და ასპეტაკებს მის სულს. იგი განაგრძობს მსოფლიო და ქართული ლიტერატურის ყველაზე წმინდა, ყველაზე კეთილშობილურ ტრადიციებს.

გარდა მძაფრი დრამატიზმითა და ტრაგიზმით აღსავსე რომანებისა და მოთხრობებისა, სერგო კლდიაშვილი ავტორია მრავალი ისეთი მოთხრობისა, რომლებიც სავსეა ცოცხალი და ლაღი იუმორით. აქ უნდა დავასახელოთ, კერძოდ, „სარდიონ შოშიას ვნებანი“, ეს ნამდვილი შედევრი, რომელშიც ჩანს კაციც და ეპოქაც.

ასეთი მოთხრობების ავტორს არ შეიძლება არ უყვარდეს ხუმრობა, სიცილი.

ეს ხუმრობა მუდამ კეთილი გულიდან მოდის, მუდამ სიყვარულიდან მოდის, მაგრამ თუ ვინმე ზომაზე მეტად ჯიუტი და გაუგებარ-შეუსმენარი მოკამათე შეხვდა, ძია სერგო ისეთ სარმას დაუდებს — ირგვლივ მყოფთ გულიანად გააცინებს თავის მოპირდაპირეზე. ერთხელ, მოსკოვიდან თბილისში მატარებლით ბრუნდებოდა ქართველ მწერალთა მცირე ჯგუფი. არ მახსოვს მწერალთა რომელი ყრილობიდან მოდიოდნენ. კუპეში საკმაოდ ცხარე კამათი გაიმართა, ერთი გამოჩენილი რუსი საბჭოთა პოეტის შემოქმედებაზე. თურმე ილო მოსაშვილმა თქვა: „ეგ პოეტი — უბრწყინვალესი ოსტატია, მშვენიერი ლექსები აქვს ცხრაასხუთზე, ლეიტენანტ შმიდტზე, ოქტომბერზე; მომხსენებელმა კი, ცოტა არ იყოს, ჩრდილში მოაქციაო“, ილოს დაეთანხმნენ იქვე მყოფი პაოლო იაშვილიც, გიორგი ლეონიძეც, მარტო ერთი პროზაიკოსი გაჯიუტდა, აიჩემა — „არაფერი პოეტი ეგ არ არისო“. შეედავნენ, მაგრამ ვერა და ვერ გადაათქმევინეს. თურმე იმ პროზაიკოსმა თქვა:

— კარგი პოეტი ის არის, ვისი ლექსებიც ხალხმა ზეპირად იცის. აბა, მაგისი ერთი ლექსი მაინც მითხარით... თუ ბიჭები ხართ, მითხარით, და თქვენი ხმალი იყოს და ჩემი კისერი...

— ერთს კი არა, თუ გინდა, ათს

# კოლხური ცისარტყელა

## ჯანო ჯანელიძე

ჯანო ჯანელიძემ დაწერა ლექსების ახალი პატარა წიგნი „კოლხური ცისარტყელა“. ავტორის შთაგონება სათავეს იღებს ძველი კოლხური სიმღერებიდან. პოეტი თავისებურად აცოცხლებს ჩვენი შორეული წარსულის სურათებს. გთავაზობთ რამდენიმე ლექსს ამ კრებულიდან.

### მღერის ნანა

ჩემი სევდა ოქროს ბადით
მთვარემ ზღვიდან ამოზიდა,
მოწყენილი, როგორც ვარდი,
მიცქერს ცირა აივნიდან.

განთიადმა გაიცინა,
ცა ვარსკვლავებს ნელა მარცვლავს,
ჩემი ბედი,
ჩემი ცირა
ფრთხილად წურავს ოქროს ნაწნავს.

გაიტაცეს ჩემი ნავი,
ჩემი ცირაც წავა მალე,
მოწყენილი, ნაღვლიანი
ქარი აჭრიალებს კარებს.

ვარსკვლავებმა ცრემლი ღვარეს,
მთვარე ღრუბლებს მიეფარა,
მოწყენილი მიცქერს ღამე,
ნაღვლიანი მღერის ნანა.

### მზეწვია

მოვიდა მზეი, მზეწვია
და მზისფრად შემომცინა,
სიზმრის ფრთებს ნაზად ერწია
ჩემი ლამაზი ცირა.

მოვიდა, ვნახე, რა ვნახე?
მდინარეს ჰგავდა მძინარს,
ხსოვნის ყვავილი დავმარხე
შენთვის, ცისფერო ცირა.

გეტყვი ზეპირად, — შეეპასუხა სერგო.

— ათი არ მინდა, ერთი მაინც მითხარი.

— მაშ მომისმინე! — უთხრა სერგომ და დაიწყო:

**Я помню чудное мгновенье:
Передо мной явилась ты,
Как мимолетное виденье,
Как гений чистой красоты.**

და ასე, ბოლომდე ჩაიკითხა ეს მართლაც გენიალური ლექსი.

პირველი სტრიქონიდანვე კუპეში მყოფთა სახეებზე ღიმილი ალიბექდა — მიხვდნენ რა მაცდურ მახეს უგებდა სერგო გაჯიუტებულ პროზაიკოსს. სერგომ კითხვა რომ დაამთავრა, იმ პროზაიკოსმა უთხრა:

— აბა, ეგ ლექსია? სილამაზის გენიოსიო... ბარემ ლამაზების პრეზიდენტი დაეწერა...

ატყდა ხარხარი, სიცილით გული რომ იჯერეს, იმ პროზაიკოსს ჰკითხეს:

— მართლა არ იცი, ვისი ლექსი წაიკითხა?

და უთხრეს ვისიც იყო.

— იმასაც ნაბიჯი შეშლია! — მაინც არ გატყდა ჯიუტი კაცი.

ვისაც სიცილი და იუმორი უყვარს, იმას არ შეიძლება ჩეხოვი არ უყვარდეს. სერგოც ასეა. მას განსაკუთრებით მოსწონს ჩეხოვის მოთხრობა „დრამა". მასში აღწერილია როგორ უკითხავს მწერალი-ქალი მურაშკინა თავის პიესას ცნობილ პუბლიცისტს პავლე ვასილის ძეს. პუბლიცისტს საშინლად ეჩქარება, დრო არა აქვს, თანაც პიესას ყურს არ უგდებს, მაგრამ ზრდილობის გამო ავტორს ეუბნება — **Очень хорошо, очень мило!** მწერალი-ქალი კი აღარ ათავებს კითხვას, ბოლოს პუბლიცისტი ამ ტანჯვა-წამებისაგან ჭკუაზე შეიშლება და თვითონაც აღარ იცის, რას სჩადის. დაახლოებით ასეთი რამ შეემთხვა სერგოს. ერთხელ, ერთი რედაქციისაგან მას ჰონორარი ერგებოდა, დროზე არ მისცეს. სერგომ რედაქტორთან მისვლა გადაწყვიტა. მან უთხრა: „ახლავე დაგიწერ ქაღალდს, დღესვე მოგცემენ, ოღონდ მანამდე მომისმინე, ჩემს ახალ ეპოპეას წაგიკითხავო". ტაქტის და ზრდილობის გამო სერგომ უარი ვერ უთხრა, თორემ რა დროს ეპოპეა იყო, სამუშაო დღე თავდებოდა და ბუღალტერიაში ვეღარ მიუსწრებდა.

ჰოდა, დაიწყო კითხვა ავტორმა. ეპოპეა აშკარად უვარგისი იყო, ამიტომ სერგო არ უსმენდა და ზუსტად ისეთივე ფიქრები მოსდიოდა, როგორც ჩეხოვის პერსონაჟს: **«Чорт тебя принес... Очень мне нужно слушать твою чепуху... Господи, а какая тетрадь толстая! Вот наказание!»**

ზის სერგო და კი არ უსმენს, იმაზე ფიქრობს, რომ ბუღალტერს ვეღარ მიუსწრებს, თანაც წყნეთში ეჩქარება. დრო კი მიდის. უკვე ხუთი შესრულდა, მეექვსე დაიწყო. ავტორი კი კითხულობს და კითხულობს... სერგო ზის, სიგარეტს სიგარეტზე ეწევა, და აი, ეპოპეის ავტორს ხმა აუკანკალდა, რაღაც ტრაგიკული მონოლოგის კითხვა დაიწყო. ამ დროს სერგომ უნებურად ხელი აიქნია, პაპიროსის კვამლი უნდოდა გაეფანტა, აიქნია სიგარეტიანი ხელი და ფერფლი თვალში ჩაუცვივდა. ეპოპეის ავტორმა რომ დაინახა, სერგო ცრემლს იწმენდსო, ხელნაწერი დააგდო, წამოხტა, მიეჭრა სერგოს, კოცნის და ეუბნება:

— შენც, სერგო, შენც ძვირფასო! ამ ადგილას მეც ცრემლს ვერ ვიკავებ, აი, ასე შენსავით ვტირი. ეგ შენი წმინდა ცრემლები მირჩევნია მთელი ჩვენი კრიტიკოსების საქებარ რეცენზიებს.

მეორე დღეს ავტორი ჰყვებოდა: ჩემს ეპოპეას უცრემლოდ ვერავინ კითხულობს, სერგო კლდიაშვილს ლაპა-ლუპით გადმოსდიოდა ცრემლებიო!

ასე განმეორდა სერგოს ცხოვრებაში ჩეხოვის მიერ აღწერილი ამბავი.

ხშირად ამბობენ, წლებს თავისი გააქვსო, ოთხმოცი წლის კაცი ისე ვეღარ დაწერს, როგორც სიჭაბუკეში წერდაო, რას იზამ, ასეთია ცხოვრების წესი და კანონი. სერგო კლდიაშვილმა დაამტკიცა, რომ როგორც ყველაფერს, ამ კანონსაც აქვს თავისი გამონაკლისი; ის წერს ისევ ისე კარგად, ისევ ისე მაღალი ოსტატობით, როგორც მუდამ გვახსოვდა. იუბილარის გასამხნევებლად და გულის გასაკეთებლად არ ვამბობ ამას, ეს ჭეშმარიტებაა, საყოველთაოდ


ეროვნული ბიბლიოთეკა

სერგო კლდიაშვილი და გიორგი ნატროშვილი

აღიარებული აზრია. ამაზე ნათლად მეტყველებს თუნდაც ის ორი ნოველა — „თათრის გოგო ფატიმა" და „მაიკო", რომლებიც მწერალმა სულ ახლახან გამოაქვეყნა „მნათობის" ფურცლებზე. მისი ყოველი ახალი ნაწარმოები მუდამ ახალი აღმოჩენა, ახალი სიხარული იყო მკითხველისათვის.

ეს ასეა ახლაც. მწერლის თვალი ძველებურად გამჭრიახია, სიტყვა — დინჯი, ბრძნული და უბრალო, აზრი — ცოცხალი და ქმედითი...

ვუსურვოთ ჩვენს საყვარელ მწერალს დიდხანს და დიდხანს შერჩენოდეს სულის ეს დიდი ძალა, ეს დაუცხრომელი ტრფიალი სიკეთისა და სილამაზისადმი, ვუსურვოთ მას დღეგრძელობა და ახალი შემოქმედებითი წარმატებანი.

ბევრჯერ მესიზმრა მზექალი
მთვარის ჩქერალში მძინარს,
ო, მაგრამ შენებრ, ღმერთმანი,
ქალი ვერ ვნახე, ცირა.

ჩემთვის დარდი ხარ მარადი,
სხვისთვის ვარსკვლავად ბრწყინავ,
წადი?
სად წადი?
რად წადი,
ჩემო ცისფერო ცირა?

მოვიდა მზეი, მზეწვია
და მზისფრად შემომცინა,
სიზმრის ფრთებს ნაზად ერწია
ჩემი ლამაზი ცირა.

## ვაი, სული საყვარელი...

მივდგომივარ ციხის კარებს,
შებრალებას ვისგან ველი?!..
მხრებზე მაზის თეთრი მთვარე, —
ვაი, სული საყვარელი!..
ერთხელ მაინც დამესიზმრე,
დამადინე შენი ცრემლი,
ჩამოკარი სევდის სიმებს, —
ვაი, სული საყვარელი!..
მწიფობისთვის მწიფობს მთვარე,
ქარში მღერის ლაქაშ-ლელი,
სიზმრად ვხედავ მზის თავთავებს, —
ვაი, სული საყვარელი!.
ხოხობივით ჩაჯდა მთვარე,
ენგურს თეთრი მთვარე შვენის,
კრიალოსანს ვაწკრიალებ, —
ვაი, სული საყვარელი!..
ირმის რემა გაჰყვა ქარებს,
რქებს ჩაწნიათ შუქი ელვის
და ქვითინებს ქარი გარეთ, —
ვაი, სული საყვარელი!..

მწვერვალებზე ნისლი წვება,
მღერის ღამე ქარვისფერი
და წკრიალებს ვარსკვლავთ წყება, —
ვაი, სული საყვარელი!..

მივდგომივარ ციხის კარებს,
შეწყალებას ვისგან ველი?!..
მხრებზე მაზის თეთრი მთვარე, —
ვაი, სული საყვარელი!..

## გულზე ცეცხლმოკიდებული

ვარსკვლავებმა დაიძინეს,
სიჩუმეა ირგვლივ სრული,
ეღიმებათ სიზმრად იებს,
მე კი არ მაქვს თვალზე რული, —
გულზე ცეცხლმოკიდებული!

თუკი წამით ჩამეძინა,
მე მაშინვე გულმოკლული
სიზმრად ვხედავ ცისფერ ცირას,
რა ყოფილა სიყვარული, —
გულზე ცეცხლმოკიდებული!

ცრემლმა ფრთები დამისველა,
ვარ სევდისგან დანისლული,
აჩრდილივით ჩუმად, ნელა
შენი კოშკის კარებს ვუვლი, —
გულზე ცეცხლმოკიდებული!

ველი, არ ჩანს ჩემი ცირა,
ვით აბედი, იწვის გული,
მზეს სძინავს და მთვარეს სძინავს,
მე კი არ მაქვს თვალზე რული, —
გულზე ცეცხლმოკიდებული!

უცხოური მოთხრობა

ჟორჟ სიმენონი

# მეგრეს შეცდომა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხატვარი დიმიტრი ერისთავი

ხომ არიან ისეთი ადამიანები — სილასაც ვერ გაანწავ იმის ნიშნით, ხელი არ დამესვაროსო!..

იმ წუთიდან, როდესაც — სამი თუ ოთხი საათის წინ — სან-დენის ქუჩაზე მომხდარ საქმეს მოჰკიდა ხელი, მეგრე გაცოფებული დადიოდა. ხმის გაცემას ვერავინ უბედავდა.

— ტაქსი გამომიძახე! — უბრძანა კურიერს.

როდესაც უკან მიჰყვებოდა თავის „კლიენტს" დერეფანში, მერე კიბეზე, მერე ტროტუარზე, თითქოს უკვე გამოჭერილი ჰყავდა.

— სან-დენის ქუჩა, 27-ბის.

ტაქსში რომ ჩაჯდა, მეგრემ მოსასხამის კალთა აიკეცა, თითქოს ეშინოდა, გვერდით მჯდომ კაცს რომ მოედოს, გამიჭუჭყიანდებაო.

ამასთან კი ის კაცი არ გახლდათ რეციდივისტი და დოსიეც სუფთა ჰქონდა. ორმოცდახუთი წლის კომერსანტი, საკმაოდ წესიერად ჩაცმული: კოსტუმი თითქმის ახალი იყო; ნაცრისფერი შალის მოსასხამი შარშანდელზე ადრე არ ექნებოდა ნაყიდი. ერთი სიტყვით, თითქმის არაფრით არ გამოირჩეოდა მტვერსასრუტით თუ სხვა ამგვარი საქონლით მოვაჭრისაგან.

ამ კაცს ეჟენ ლაბრი ერქვა. სქელ-სქელი იყო, თვალები შავი ჰქონდა, მოელვარე. ლაბრი ფეხქვეშ ეგებოდა:

— ჯერ თქვენ შებრძანდით, ბატონო კომისარო!

მეგრეს ერჩია ახლა საქმე ჰქონოდა თუნდაც რომელიმე უხამსი „რომანტიზმით" ალტაცებულ ლაწირაკთან, აი ისეთთან, კიბიდან რომ დააგორებს კონსიერჟ ქალს ან კიოსკს რომ გაძარცვავს, ანდა ედავა და ეჩხუბა რომელიმე მოურჯულებელ დამნაშავესთან, თავისი „პროფესია" კარგად რომ იცის კიდევაც და უყვარს კიდევაც. აქ კი — მაბეზღარა, პოლიციის ჯაშუში, უნამუსო არამზადა, წესიერი კაცის შესახედაობა რომ აქვს, მძიმედ თავს უკრავს და ფიანდაზად ეფინება... „სპეციალური წიგნის დუქნის" მეპატრონე! სახელწოდება, რომელიც ყველაფერს ამბობდა დუქანზეც და მის მეპატრონეზეც...

საძეხვესა და სადალაქოს შუა ვიტრინას რომ მიადგნენ, ლაბრიმ გასაღები ამოიღო და თავისი დაკეტილი დუქნის დარაბა გაალო.

პაწია, ვიწრო მაღაზია უფრო დერეფანს წააგავდა. სტელაჟი ერთი მეტრი საგანისა თუ იქნებოდა, მაგრამ გულმოდგინედ და მარჯვედ იყო გამოყენებული. ზედ ელაგა მრავლისაღმთქმელ სათაურიანი წიგნების მთელი კოლექცია. წიგნების ლამაზად მოხატული, ცელოფანგადაკრული ყდები მყიდველთა ინტერესს აღვივებდა.

ხუთი საათი იყო დაწყებული. გუშინ სწორედ ამ დროს დატრიალდა აქ ტრაგედია... აი ასევე მიდი-მოდიოდნენ ტროტუარზე გამვლელები; მიჰქროდნენ ტაქსები; ეჭვადაც არავინ არაფერი იცოდა:..

მეგრემ კარი გასაღებით ჩაკეტა, ურდული გაუყარა („წინდახედული ხალხია!") და დუქნის პატრონს ხელი წაჰკრა:

— შენი კაბინეტი მაჩვენე!..

არაფრით არ შეეძლო თქვენობით დალაპარაკებოდა...

მან კი ისე მიმართა კომისარს, თითქოს მისი კლიენტიაო:

— ფრთხილად იყავით, ძალზე დამრეცი კიბეა...

სიღრმეში, დახლს გადაღმა, იწყებოდა ქვემოთ ჩამავალი კიბე, როგორსაც ნახავთ ხოლმე ბისტროში, როდესაც სატუალეტო ადგილს ეძებთ სარდაფში.

— ნება მიბოძეთ, პირველი მე წავალ, — ქლესაობდა ლაბრი.

ქვემოთ, წითელი ველიურისაგან გაკეთებულ ტიხარს იქით, უცნაური კუთხე იყო მოწყობილი. წიგნებიანი თაროებით თუ განსჯიდა კაცი, ეს იყო ბიბლიოთეკა. მაგრამ წითელ-წითელ მომცრო დივანებსა და კედელზე გაკრულ დიდ სარკეს რომ შეხედავდა, ამ კუთხეს „პაწია სალონს", სასტუმროს დაარქმევდა. ტიხარს გვერდით იყო ჩაბნელებულში მნახველთათვის შეუმჩნეველი კარი, რომელიც შეჩვეული მოძრაობით გაალო ლაბრიმ ისე, რომ ჯერ შუქი არც აუნთია.

— როგორც ხედავთ, ბატონო კომისარო, ძალზე უბრალოდ ვცხოვრობ, — თითქოს ბოდიშობსო, ისე წარმოთქვა ლაბრიმ, თან ისე ჩაიცინა, რომ მეგრე სიამოვნებით ჩააზელდა მუშტს ტუჩებში, რათა ეს ღიმილი გადაეცალა.

მართლაც, ყველაფერი ძალზე უბრალოდ იყო. ღია ფერის, სერიული გამოშვების მომცრო საწერი მაგიდა. მწვანედ შეღებილი ლითონის სეიფი. მარჯვნივ — გაზქურა, ჩაიდანი, ფინჯანი. საკიდარი. ხელსაბანი...

მეგრე მეტისმეტად ზონზროხი აღნაგობისა იყო და ამ პატარა სარდაფში სული შეეხუთა.

— რანაირად უთვალთვალებდი, თუ რა ხდებოდა გვერდით? — ჰკითხა მან.

ლაბრიმ გადასწია კედელზე ჩამოკიდებული კალენდარი და „საჭვრეტი" გადახსნა.

— აი აქედან... შუქს ვაქრობდი... კედლის იქითა მხრიდან ამ ადგილას სარკეს კილიტა არა აქვს...

მეგრეს ერთი სული ჰქონდა, ხმამაღლა ეთქვა: „უნამუსო არამზადა!"

ჰო, არამზადაა! ოღონდ, ფრთხილი არამზადა. არამზადა, რომელმაც იცის კოდექსი, მჭიდრო კონტაქტი აქვს პოლიციასთან...

„სპეციალური წიგნის დუქანი" მარჯვე რეკლამის წყალობით ეროტიკული ლიტერატურის ბევრ მოყვარულს იზიდავდა.

„მადემუაზელ ემილია პირადად აჩვენებს მსურველებს..." — აღუთქვამდნენ სარეკლამო პროსპექტები...

ცხადია, ემილია, გამყიდველი ქალიშვილი, შეჰყვებოდა ხოლმე მდიდარ და ხელგაშლილ კლიენტებს ამ პატარა სალონში, რათა 400 ან 500 ფრანკად მარტოკას ეჩვენებინა რომელიმე საგანგებო, „ბიბლიოფილური" ეგზემპლარი... კედლის იქითა მხარეს კი „საჭვრეტთან" ლაბრი იდგა...

ტრაგედიის სიუჟეტი მარტივია. ტრაგედიამდე ორი დღით ადრე ლაბრიმ გაყიდა თავისი საქმე და რვა დღის მერე ახალი პატრონისათვის უნდა გადაებარებინა.

„...გამყიდველი, ცხადია, მაღაზიის ახალი მფლობელის განკარგულებაში რჩება", — გათვალისწინებული იყო კონტრაქტში.

და აი გუშინ, საღამოს თერთმეტ საათზე, საპოლიციო პატრულს თვალში მოხვდა, რომ „სპეციალურ წიგნის დუქანში" კიდევ ენთო შუქი. ერთი პოლიციელი შევიდა ღია დუქანში და იქ რომ ვერავინ ნახა, სარდაფში ჩავიდა. ჩავიდა და პატარა სალონში წააწყდა ყმაწვილი ქალის გვამს. ეს გამყიდველი ქალი ემილია იყო.

უბნის პოლიციის კომისარმა მაშინვე დაჰკითხა ლაბრი, რომელიც მეცის ქუჩაზე ცხოვრობდა, და ისიც მოჰყვა მიეთმოეთს:

— საღამოს ხუთ საათზე, როგორც ყოველთვის, გაზქურაზე ჩაი ავადუღე. ემილია მოვიდა და თავისი ფინჯანი ჩაი გაიტანა. მე მარტოკამ დავლიე. მერე დუქნიდან გამოვედი — საქმიანი პაემანი მქონდა ქალაქში. მაღაზიის დაკეტვა ემილიას მივანდე. მე მას სავსებით ვენდობოდი. უკვე ოთხი წელი იყო ჩემთან მუშაობდა...

მაგრამ ექსპერტიზამ დაადგინა: ემილია მოიწამლა, სწორედ ის ფინჯანი ჩაი რომ დალია.

უბნის კომისარი ბევრს არ ელოლიავა ლაბრის, როგორც ამხელდა კომერსანტის ჩალურჯებული მარჯვენა თვალი, და ერთი საათის მერე სხვა ჩვენება მიუღია:

— 18 საათი იქნებოდა, კაბინეტში მუშაობას რომ მოვრჩი და სალონში აღმოვაჩინე ჩემი გამყიდველი ქალი, უძრავად იწვა. ჩაეძინა-მეთქი, გავიფიქრე, და წამოვედი. გულში გადავწყვიტე, მოგვიანებით დავბრუნდები და მაღაზიას დავკეტავმეთქი... მაგრამ საქმეზე შემაგვიანდა და პირდაპირ შინ წავედი...

ეს უფრო წააგავდა სიმართლეს, იმიტომ რომ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტის აზრით, ემილიას სიკვდილი დასაძინებელი წამლის ძალზე დიდი დოზით მიღებამ გამოიწვია.

— ემილია ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, დუქნიდან რომ გახვედი? — ჰკითხა კომისარმა.

— ვფიქრობ, კი... ხელზე შევავლე ხელი. თბილი იყო.

— ექიმის გამოძახება არ მოგსვლია თავში?

— ჩვენს საქმეში უკეთესია სკანდალს თავი ავარიდოთ... თქვენ ეს ისევე კარგად მოგეხსენებათ, როგორც მე.

ამ სიტყვებს ხაზგასმით რომ ამბობდა, ლაბრი კომისარს გადაკრულად მიანიშნებდა, გამოსადეგი რომ იყო პოლიციისთვის, მისთვის საინტერესო ცნობებს რომ აწვდიდა ხოლმე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველა ამ ფაქტს ინელებდა აღშფოთებული მეგრეს დიდი თავი, იმ დროს, როდესაც სან-დენის ქუჩაზე ცხოვრება თავისი რიგით მიედინებოდა, ხოლო ჩახუთულ სარდაფში ლაბრის თავი ისე ეჭირა, როგორც შეჭფერის ღირსებით აღსავსე წესიერ კომერსანტს, რომელმაც კარგად უწყის საკუთარი უფლებები...

— გეფიცებით, ბატონო კომისარო, ვერაფერს ვუსაყვედურებ ჩემს თავს. გადაათვალიერეთ ყველა წიგნი, რომელიც აქ არის. დამაინტრიგებელი სათაურების მიუხედავად, შიგ ისეთი არაფერია: ყმაწვილი ქალი იმიტომაც მჭირდებოდა გამყიდველად, რომ წიგნები გამესაღებინა... თქვენ ხომ გესმით ჩემი?.. კლიენტები მასთან რომ იყვნენ, უფრო აღეგზნებოდნენ ხოლმე... მაგრამ ემილიამ იცოდა მათი დროზე მოთოკვა, თანაც მარჯვედ შეაგონებდა, ძვირი წიგნის ყიდვა სჯობსო!..

ჩაცინებით ამბობდა ამას, თავი ისე ეჭირა, რომ ძალიან აფასებდა ემილიას მარიფათიანობას.

— მისი ნდობა რომ არ მქონოდა, არც გავაჩერებდი ოთხ წელიწადს. მე თვითონ ვამზადებდი ჩაის... მოგეხსენებათ, დრო ძალზე ნელა მიდის...

„მეტადრე ამ სარდაფში, რომელიც სავსებით მოწყვეტილია ცხოვრებას!...“

— ვიცი, რასაც ფიქრობთ, ბატონო კომისარო. ეჭვი გაქვთ, რომ ემილიას მოკვლა მინდოდა... მაგრამ აბა რა აზრი ჰქონდა ჩემთვის ამას: კონტრაქტი ითვალისწინებდა, რომ იგი ერთგვარად ჩემი უძრავი ქონების ნაწილი იყო... ზედმეტად გამირთულდებოდა საქმე დუქნის შემსყიდველთან... ესეც არ იყოს, რანაირად უნდა მომეწამლა? ამ დილით მითხრეს: ექიმები ამტკიცებენ, რვა აბი გადაუყლაპავსო. თქვენ ოდესმე მიგიღიათ ეს აბები, ბატონო კომისარო? არა?.. მე კი ერთხელ მომიხდა გადაყლაპვა. ისეთი მწარეა, შეუძლებელია ვინმე აიძულო ნებაყოფლობით გადაყლაპოს ამდენი აბი!..

— ე!..

როდესაც მეგრე ამბობდა „ე!“, ეს იმას ნიშნავდა, რომ მან იცოდა, რაც უნდა ეპასუხა. მან ნახა ემილიას გვამი სასამართლო მედიცინის ინსტიტუტში. ავადმყოფური გარეგნობის ქალიშვილი იყო, და სწორედ მისი სიფერმკრთალე აღუძრავდა არაჯანსაღ ინტერესს „სპეციალური წიგნის დუქნის“ კლიენტებს... ამიტომაც ლაბრის შეეძლო კეთილი მამილოს როლი გაეთამაშებინა და იოლად დაეყოლებინა დაელია ყველაზე მწარე ფინჯანიც, ვითომდა წამალიაო.

— მერწმუნეთ, ბატონო კომისარო, მცდარ გზას ადგახართ! კიდევაც რომ მომენდომებინა ასეთი რაოდენობის დასაძინებელი წამლის მიცემა, ამას ისე ვიზამდი, რომ ეფექტი სადმე სხვაგან გამომჟღავნებულიყო, და არა აქ. მე არ შევიხვედრებდი უსიამოვნებას...

„ამაზეც უფიქრია არამზადას! ყველაფერი გაუთვალისწინებია...“

— გარდა ამისა, — განაგრძობდა ლაბრი, — რა ხეირი უნდა მქონოდა?!

„მართლაც, რა ხეირი უნდა ჰქონოდა?“. ეს იყო შეკითხვა, რომელსაც მეგრეც აძლევდა საკუთარ თავს. მას კარგად ესმოდა: ლაბრი ისეთი კაცი არ იყო, ტყუილუბრალოდ რამე მოემოქმედებინა!..

მეგრე ხმას არ იღებდა, ჩიბუხს აბოლებდა და საწერი მაგიდის უჯრებში იქექებოდა. მოულოდნელად რაღაც ალბომს წააწყდა, გადაშალა და ქაღალდების აკურატულად დაწყობილი დასტა დაინახა. ერთი შეხედვით საქმიანი კორესპონდენცია ეგონებოდა ადამიანს, მაგრამ სასიყვარულო ბარათები გამოდგა.

„ტრანვილი, 6 აგვისტო.
ძვირფასო!

უკვე სამი დღეა უშენოდ ვცხოვრობ, და მგონია, მეტს ვეღარ ავიტან, საყვარელო! აღარ შემიძლია უშენობა...“



და ახე შემდეგ. ორი ფურცელი. ხელმოწერა: „სიკვდილამდე შენი მოყვარული შენი ემილია“.

მეგრემ შეხედა გვერდით მდგარ სქელ კაცს და ძლივს შეიკავა კვლავ აფეთქებული ბრაზი.

— სასიყვარულო დრამაა? — ჰკითხა დაუფარავი დაცინვით.

— რატომაც არა? — მიუგო ლაბრიმ არცთუ თავმოუწონებლად.

მეგრემ გახედა კედელში ჩაყოლებულ „საჭვრეტს“, მერე ამ გათახსირებულ კაცს, და ძლივს გახსნა მუშტად შეკრული დიდრონი ხელები.

— ყოველ შემთხვევაში, ხომ არ გგონია, რომ დავიჯერებ, თითქოს თავი მოიკლა?

— მე მხოლოდ ის ვიცი, რომ არავითარი საბაბი არა მქონდა მომეკლა და საკუთარი თავისათვის უსიამოვნებანი მიმეყენებინა. მით უმეტეს ახლა, როდესაც განზრახული მაქვს გავემგზავრო კანში, სადაც ვილა შევიძინე.

ლაბრი მიეთმოეთობდა, თავს იძვრენდა, ხოლო მეგრე სულ უფრო და უფრო ცოფდებოდა. მან იცოდა მონმარტრზე სხეულით მოვაჭრეთა და მონპარნასზე ნარკოტიკების გამყიდველთა საიდუმლოებანი. იგი იცნობდა პარიზის ყოველ ქუჩას. მაგრამ აი ამდაგვარ სარდაფში ჯერ არასოდეს ჩაეხედა...

— დარწმუნებული ვარ, ბატონო კომისარო, თქვენც გესმით, რომ დამნაშავე არა ვარ და რომ ჩემთვის, როგორც საქმის კაცისთვის, ეს ამბავი უხიამოვნოა...

„ისე ლაპარაკობს თავის „საქმეზე“, როგორც ნორმალურ ვაჭრობაზე! ისღა აკლია, საანგარიშო დავთრები გადმომილაგოს!“

მეგრეს არ შეეძლო გულგრილად ეცქირა ამ ლამაზი და იმავდროს ზიზღისმომგვრელი ტუჩებისათვის. მით უმეტეს, რომ ლაბრის თვალთა გამომეტყველება უფრო ხაზს უსვამდა ტუჩებისა და ნიკაპის სიბილწეს. ეს გახლდათ არამზადა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით...

მეგრე გრძნობდა, როგორ ერეოდა სიბრაზე და გაავთრება, თითქოს მამა იყო, საკუთარი ქალიშვილის გამო შური რომ უნდა ეძია.

მოულოდნელად ზედ ცხვირთან მიუტანა მუშტი ლაბრის და უყვირა:

— გამოტყდი, არამზადავ!

ცხოველური შიშით ატანილმა ლაბრიმ უკან დაიხია და თითქოს ზედ მიეწება კედელს.

— ემილია შენი საყვარელი იყო!.. მან იცოდა შენი ბინძური საქმეები... ამიტომაც მოიშორე თავიდან, ვიდრე კანში გაემგზავრებოდი.

— ბატონო კომისარო...

— გამოტყდი-მეთქი!.. გამოტყდი, რომ შენ შეაჩეჩე ის აბები, ვითომ წამალი იყო! ხოლო როდესაც კვდებოდა, აქედან მოუსვი, როგორც უნამუსო პირუტყვმა!

— ბატონო კომისარო...

მეგრეს თვალწინ ედგა მორგში ნანახი სურათი — ფერმკრთალი, მოგრძოსახიანი, თვალებგაშეშებული, ავადმყოფური სახის ქალიშვილი... ამ ეგოისტმა უკრა თავი ამ სარდაფში და აიძულა ემებინა გარყვნილი ბერიკაცებისათვის...

— გამოტყდი, არამზადავ!..

— გეფიცებით...

— ნუკი მეფიცები, გამოტყდი!

— ინანებთ, ბატონო კომისარო...

— რა თქვი?!

— ინანებთ-მეთქი... ცდებით... თქვენ გადადიხართ თქვენს რწმუნებულებას...

— შენ ბედავ ამის თქმას? დახედე ამ წერილებს? შენ ბედავ ამტკიცო, რომ მისი საყვარელი არ იყავი?!

მეგრემ უკვე აღმართა მუშტი. წამიც — და დაარტყამდა ლაბრის, მაგრამ ტელეფონის ზარი გაისმა. მეგრემ ყურმილი აიღო.

— ალლო! კომისარი მეგრე ბრძანდებით? ეს წუთია ახლა მივიღე სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა... ალლო!

კედელზე აკრული ლაბრი უძრავად იდგა და ცდილობდა გაეგონა ბრიგადირის ხმა, ყურმილში რომ ისმოდა.

— ილაპარაკე, რაღას უცდი! მესმის! — იყვირა მეგრემ. — რა მოხდა?

— როგორ გითხრათ, ბატონო კომისარო... მოკლედ, ქალიშვილი უმანკო აღმოჩნდა...

მეგრემ უხმოდ დასდო ყურმილი. იგი ყველაფერს მიხვდა.

— მოხარული ვარ, რომ დაშოშმინდით, ბატონო კომისარო, — წამოისროლა ლაბრიმ თავხედურად.

მეგრემ მუშტებად შეკრა ხელები. ახლა მას ესმოდა: საქმე გაცილებით უარესი გამოდგა, ვიდრე მას ეგონა. მან ალმაცერად გახედა არამზადას, რომელსაც ახლა ველარაფერს ველარ უზამდა.

— ჰო, — ამოიოხრა მან, — შენ ის არ მოგიკლავს. შენ უარესი ჩაიდინე...

კანონის წინაშე ლაბრი არაფრისთვის არ აგებდა პასუხს.

რა მიამიტი იყო ის გოგონა, ხელად რომ გამოეხმაურა გაზეთში დაბეჭდილ განცხადებას — წიგნის მაღაზიას ლამაზი ახალგაზრდა გამყიდველი ესაჭიროებაო!. ჩამოვიდა სოფლიდან პარიზში და... შეუყვარდა ლაბრი. ლაბრი კი თავისი ხავერდოვანი თვალებით ვაჭრუკანა იყო და სხვა არაფერი. იგი არ გაუხდა საყვარლად იმიტომ კი არა, რომ, როგორც ქალიშვილს ეგონა, უყვარდა იგი და უფრთხილდებოდა მის უბიწოებას. ლაბრის სულ სხვა მიზანი ჰქონდა. წიგნებით ვაჭრობას წარმატება რომ მოჰყოლოდა, ლაბრის ესაჭიროებოდა, რომ ემილია უმანკო დარჩენილიყო. ასე ხომ იგი უფრო ბუნებრივად გაითამაშებდა უმანკო გოგონას როლს „სპეციალური“ ლიტერატურის მყიდველთა წინაშე. ხოლო რა შეიძლება იყოს უმანკოებაზე უფრო უმანკო! ეს მშვენივრად ესმოდა ამ არამზადას!..

ასე გრძელდებოდა ყველაფერი იმ დღემდე, როდესაც ემილია მიხვდა, რომ მარტოოდენ ნაწილი ყოფილა იმ უძრავი ქონებისა, რომელიც გაყიდა მისმა სათაყვანებელმა კაცმა. იმ დღემდე, როდესაც შეიტყო, რომ ლაბრი უმისოდ მიემგზავრება კანში.

ამ აღმოჩენით თავზარდაცემულმა ემილიამ თავის მოკვლა გადაწყვიტა. ხოლო ლაბრიმ ნახა იგი მომაკვდავი სარდაფში და მიატოვა. ამჯობინა, რომ გვამს ვინმე სხვა წაწყდომოდა...

— მაშ მე რას გეუბნებოდით, ბატონო კომისარო, — ტკბილი ხმით უთხრა ლაბრიმ, თან ჩაცინებით შესცქეროდა საქციელწამხდარ მეგრეს.

და აქ კომისარს გაახსენდა, რომ ისინი მარტონი არიან ამ სარდაფში, რომ მათგან შორსაა ცხოვრება, კანონები.

— დიახ, შევცდი, — წაიბურტყუნა კომისარმა. — შეუმცდარი ვინ არის!

მერე — მას სხვა აღარაფერი დარჩენოდა! — რაც ძალა და ღონე ჰქონდა მუშტი ლეწა ტუჩებში, და გული რომ მოიოხა, უთხრა:

— გირჩევნია ყველას უთხრა, რომ კიბეზე დაგორდი, მართლაც ძალზე დამრეცი კიბეა...

თარგმანი ფრანგულიდან

# ყველაფერი გუნდისათვის

ეს მოხდა მოსკოვში 1950 წლის საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრის ერთ-ერთი მატჩის დროს. ერთმანეთს ძველი მეტოქეები — ადგილობრივი და თბილისის დინამოელები ხვდებოდნენ. ჩემი მეზობელი, უნგრელი ჟურნალისტი წიგნაკში რაღაცას გაფაციცებით ინიშნავდა და დამტვრეული რუსულით მოთამაშეთა გვარებს მეკითხებოდა, ზოგჯერ აზარტში შესული ხმამაღლაც გამოთქვამდა თავის მოსაზრებას, ასაღელვებელი კი მართლაც, რომ საკმაოზე მეტი გახლდათ. თბილისელები, რომლებიც არაფრით ჩამოუვარდებოდნენ მეტოქეს, შეხვედრის მეორე ნახევრის მე-20 წუთისათვის აგებდნენ გამანადგურებელი ანგარიშით — 1:4.

მოედანზე კი ბორის პაიჭაძეს ჩრდილივით დაჰყვებოდა ლეონიდ სოლოვიოვი. ვინ, ვინ და იგი კი კარგად იცნობდა თბილისელს, მცირეოდენი უყურადღებობა და ბორისი სახიფათო მომენტს შექმნის, ან თვითონ გაგზავნის ბურთს კარისაკენ.

ასეც მოხდა, პაიჭაძის ზუსტი გადაცემა და ავთანდილ ღოღობერიძეს მეორე ბურთი გააქვს — 2:4.

— აი ამას ჰქვია მოთამაშე! — მეუბნება აღფრთოვანებული უნგრელი,

— ჩვენთან, ძველი სკოლის ფეხბურთელები თამაშობდნენ ასე: ჯერ მაყურებლისათვის, მერე საკუთარი თავისათვის და შემდეგ კი შესაძლოა გუნდისათვის. ბორის პაიჭაძე — უპირველესი სიკაშკაშის ვარსკვლავი თამაშობს პირველად გუნდისათვის, მეორედ გუნდისათვის და მესამედაც გუნდისათვის.

მოედანზე ბრძოლა სულ უფრო მწვავე ხასიათს იღებდა. ქართველ ფეხბურთელთა შეტევითი ტალღის შეჩერება უკვე შეუძლებელი იყო და ანგარიშიც 4:4 გახდა. ახლა ბურთი მეტოქეთა კარში მოუგერიებელი, ლამაზი დარტყმის შემდეგ ბორის პაიჭაძემ გაიტანა.

— აი, ამას ჰქვია მოთამაშე! — ხმის ჩახლეჩამდე გაჰკიოდა უნგრელი.

მას შემდეგ მრავალმა წელმა განვლო, მაგრამ თვალწინ კვლავაც ცოცხლდებიან განვლილი შერკინების სურათები, რომლებშიც მთელი სისრულით აკიაფდა ბორის პაიჭაძის, ფეხბურთის ამ უბადლო ოსტატის, მრავალმხრივი ნიჭი. ბორისი ხან შეტევათა ორგანიზატორად გვევლინებოდა, ხანაც მისთვის ჩვეული დაუოკებელი ჟინით მიიწევდა მოწინააღმდეგეთა მცველებისკენ, ხანაც კი გვხიბლავდა ფილიგრანული ტექნიკით. ყოველივე ეს მხოლოდ ერთ მიზანს ემსახურებოდა, გაეკეთებინა ყველაფერი საყვარელი გუნდის გამარჯვებისათვის.

ესაა ბორის პაიჭაძე!

ბორის პაიჭაძე, მისი მეგობრისა და სპორტული მეტოქის ფედოტოვის კლუბის პირველი წევრია, მის ანგარიშზე 106 ბურთი მოდის. ომის მძიმე წლები რომ არა, ალბათ ეს ანგარიში საგრძნობლად გაიზრდებოდა.

# ჩვენი ბასა

როდესაც, 1967 წელს „ხოკეი ფუტბოლის“ გვერდებზე პირველად გაჩნდა რუბრიკა: „100 — გრიგოლ ფედოტოვის კლუბი“, იმ 13 წევრს შორის, რომლებიც მოხვდნენ ამ საპატიო სიაში რიგით მეექვსე, საბჭოთა საფეხბურთო სკოლის ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი — ავთანდილ ღოღობერიძე იყო.

ბასა, როგორც მას ფეხბურთის მოყვარულები ეძახდნენ, 128 გატანილი ბურთით შევიდა ასიანელთა რიგებში.

მახსოვს ერთხელ მოგებული მატჩის შემდეგ ავთანდილს ვკითხე, — ისევ ისე, ძველებურად გახარებს მოწინააღმდეგის კარის აღება, თუ შეეჩვიე და პროფესიულ აუცილებლობად გექცა-მეთქი.

— რას ამბობ, ეს იმის ტოლი იქნებოდა, მხატვარმა ფერების შეგრძნება რომ დაკარგოს, — მიპასუხა მან. — იცი, რა არის ფეხბურთელისათ-



# ჩვენი კაპიტნები

ეროვნული ბიბლიოთეკა

**106 115 128**

ვის გოლი? ოცნების ახდენა, სიხარულის, სიამაყის გრძნობა. ეგეც არ იყოს, როგორც ორი მატჩი არ ჰგავს ერთმანეთს, ისე გოლებიც. ასე რომ, ყოველი გატანილი ბურთი შენი შემოქმედების ახალი თავფურცელია, რომელსაც გუნდისათვის გამარჯვება, შენთვის კი განუმეორებელი ბედნიერება მოაქვს.

ბედნიერება ფეხბურთელს იოლად როდი ეძლევა, საამისოდ ხალას ნიჭთან ერთად მეტად მძიმე და რთული გზის გავლაა საჭირო. სწორედ ასე მოვიდა დიდ სპორტში ავთანდილი. მოვიდა თავისი საკუთარი ხელწერით და ქართულ საფეხბურთო სკოლას კიდევ ერთი თვითმყობადი, განუმეორებელი სახე შემატა.

ახლა ძნელად თუ დაასახელებ ფეხბურთელს, რომელსაც ამდენი გაეკეთებინოს გუნდისათვის. საამისოდ მისი სპორტული ბიოგრაფიის თვალის გადავლებაც კი საკმარისია. ავთანდილი ხომ ჯერ კიდევ დინამოელთა პირველი თაობის წარმომადგენლების: ბ. პაიჭაძის, გ. ჯეჯელავას, მ. ბერძენიშვილის, გ. გაგუას და სხვათა გვერდით თამაშობდა. შემდეგ კი წლების განმავლობაში, როგორც კოლექტივის ლიდერი და მისი უცვლელი კაპიტანი, მიხეილ მესხის, ზაურ კალოევის, შოთა იამანიძის მხარდამხარ იცავდა საკუთარი კლუბისა თუ ქვეყნის ღირსებას.

ჩვეულებრივ, როცა თავდამსხმელისათვის დამახასიათებელი რაიმე ეპიზოდის გადმოცემა სურთ, როგორც წესი, პირველ რიგში მის მიერ გატანილ გოლს მოიშველიებენ. ჩვენ კი ამჯერად სულ სხვა, ერთ მეტად ჩვეულებრივ ამბავს გავიხსენებთ:

1959 წელია, დინამოელები მოსკოვის სპარტაკელებს მასპინძლობენ. მატჩი იმთავითვე მოულოდნელად და ნერვიულად წარიმართა. ბურთის გატანის შემდეგ სტუმრებმა „თამაშს თავი დაანებეს“ და იმასღა ცდილობდნენ, შეენარჩუნებინათ მოპოვებული.

თბილისელთა ცდამ, შესწორება შეეტანათ მატჩის მსვლელობაში, გარკვეული შედეგი გამოიღო კიდეც. ანგარიში გათანაბრდა, მაგრამ მეტის გაკეთება ვერა და ვერ მოხერხდა. საჩვენებელ ტაბლოზე კი საათის ისრები საოცარი სისწრაფით კვეცავდნენ წუთებს და რაც უფრო ნაკლები დრო რჩებოდა, თამაშიც მით უფრო მწვავე ხასიათს იღებდა.

მასპინძლების ზეადამიანურ დაძაბვას, ასეთივე გამეტებით პასუხობდნენ სტუმრებიც, რომლებიც უბრძოლველად არ თმობდნენ არცერთ მტკაველს და მოიხელთებდნენ დროს თუ არა, ბურთს რაც შეიძლება შორს, ტრიბუნებისაკენ გზავნიდნენ.

დაძაბულობამ კულმინაციურ წერტილს მიაღწია. მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანზე რაღაც გაურკვეველი ხდება. ძნელია გაარჩიო ვინ საით ურტყამს, რას აკეთებს. ასეთ დროს იტყვიან გოლი მომწიფდაო, მაგრამ კონკრეტული სიტუაციისათვის ეს მეტად რბილი ნათქვამი იქნებოდა.

მატჩის დამთავრებამდე კი ერთი წუთიღა რჩებოდა, წუთი, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა ასპარეზობის ბედი. სტუმრები იმასღა ცდილობდნენ, როგორმე მოიცილონ ბურთი და რაც შეიძლება შორს, ხოლო თუ გვერდით ხაზს უკან მოახერხეს, მისი გაშვება, ეს ხომ პირდაპირ ხსნაა, მოგებული წამებია. და აი, მოსკოველთაგან ვიღაცა თავით მიწვდა ბურთს და აუტში გაგზავნა. ტრიბუნებს უკმაყოფილების გმინვამ გადაუარა. გამოდის, რომ უკანასკნელი შანსიც დაიკარგა. გვერდითმა მსაჯმა სანახევროდ აღმართა კიდეც ალამი და მაშინ, როცა ბურთი ხაზს იქით უნდა დაშვებულიყო, თითქოსდა რაღაც უხილავი ძალა მოქმედებდაო, ბასამ ჰაერშივე მიიზიდა იგი და წინ პარტნიორებისაკენ გაგზავნა.

არ ვიცი, ვინ როგორ აღიქვა ეს ეპიზოდი, მე კი ისევე ნათლად შემომრჩა, როგორც ულამაზესი გოლი.

ალბათ ფრანგ მიმომხილველსაც სწორედ ამან ათქმევინა ბასაზე, პირველად ვხედავ ფეხბურთელს ასე ხელებივით ხმარობდეს ფეხსო.

## იერიში კარიდან

1960 წლის დასაწყისისათვის თბილისის „დინამოში“ შეიქმნა საინტერესო დუეტი ორი ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული თავდამსხმელისა, რომლებიც გამოუვალ მდგომარეობაში აყენებდნენ მოწინააღმდეგის ნებისმიერ დაცვას.

მარცხენა ფრთიდან კარისკენ მიჰქროდა განუმეორებელი დრიბლიორი, მახვილგონივრული ფინტების ოსტატი მიხეილ მესხი. ზურგს უკან რჩებოდნენ გაწბილებული მცველები. პირით ხაზთან მიღწევის შემდეგ, მის ძლიერ, გამჭოლავ ჩაწოდებას ეხმაურებოდა ცენტრალური თავდამსხმელი, რომელიც მოჩვენებითი სიმსუბუქით თავისუფლდებოდა მცველთა მეურვეობისგან და წერტილს უსვამდა გუნდის შეტევას — თავური დარტყმით ბურთს ბადეში აგზავნიდა.

თბილისის „დინამოს“ მოწინააღმდეგეთა შორის ყველამ უკლებლად იცოდა მესხი-კალოევის დუეტის არსებობა, მაგრამ იშვიათად თუ შეეძლო ვინმეს მისი ნეიტრალიზება. ამ ფეხბურთელთა და მათი პარტნიორების ვ. ბარქაიას, შ. იამანიძის, გ. ჩოხელისა და სხვათა მაღალი ოსტატობა საშუალებას იძლეოდა წლების განმავლობაში წარმატებით გამოეყენებინათ ამ ორი შესანიშნავი ფეხბურთელის საუკეთესო თვისებები.

1964 წელს თბილისის დინამოელებმა ქვეყნის ჩემპიონატის ისტორიაში პირველად მოიპოვეს სსრ კავშირის № 1 გუნდის წოდება. ეს იყო ზ. კალოევის დიდ ფეხბურთში გამოსვლის უკანასკნელი წელი.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, მაგრამ ზაურ კალოევის სახელს ახლაც მაგალითად იშველიებენ, როგორც ეტალონს მაღალი ბურთებისათვის ბრძოლაში მოწინააღმდეგის კართან.

ზაურ კალოევი სსრ კავშირის ჩემპიონატების 250 მატჩის მონაწილეა, სადაც 115 ბურთი გაიტანა. ზემოთ ჩამოთვლილი ჯილდოების გარდა იგი სსრ კავშირის სამგზის პრიზიორია (ვერცხლის — 1958 წ., ბრინჯაოსი — 1959 და 1962 წწ.), ორჯერ მოიპოვა საუკეთესო ბომბარდირის წოდება (1959 წ. — 16 ბურთი, 1960 წ. — 20 ბურთი). იცავდა ქვეყნის პირველი და ოლიმპიური ნაკრების სპორტულ ღირსებას. შევიდა ქვეყნის 33 საუკეთესო ფეხბურთელთა სიაში. 1963 წელს ზაურ კალოევს სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატის საპატიო წოდება მიენიჭა.

ოთარ გაგუა



საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპ.

# გეოგრაფიული სახელები





ყოველდღიურ საუბარში ჩვენ ხშირად ვახსენებთ ისეთ ჩვეულებრივ საგნებს, ჩნდა, ვოქვათ, კვების პროდუქტებს, როგორიცაა, მაგალითად, მაიონეზი, პლომბირი, პანამა, ქიშმირი... შეიძლება ზოგიერთმა არც კი იცის, რომ ეს სახელწოდებები, უმეტეს შემთხვევაში, გარკვეულ გეოგრაფიულ ადგილებთან არის დაკავშირებული.

ავიღოთ, თუნდაც საყოველთაოდ ცნობილი პლაშჩი „ბოლონი". ასეთი პლაშჩი სინთეტიკური მასალისაგან პირველად იტალიის ქალაქ ბოლონიაში დაამზადეს და მას ამ ქალაქის სახელი დაერქვა.

ბოსტონი ჰქვია მაუდის ერთ-ერთ სახეობას, რომელიც პირველად ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ ბოსტონში მოქსოვეს.

ჩვენს კულინარიაში ფართოდ შემოიჭრა მაიონეზი. იგი შემოვიდა ესპანეთის კუნძულ მენორკადან, სადაც მდებარეობს ქალაქი მაიონი. პირველად სწორედ ამ ქალაქში დამზადდა სოუსის ეს სახეობა.

ნაყინი პლომბირი ყუათიანი და გემრიელი საჭმელია. პლომბირი პირველად საფრანგეთის ქალაქ პლომბირში დამზადდა.

გეოგრაფიულ ადგილებთან არის დაკავშირებული აგრეთვე მინერალუ-





მსუბუქი, ფართოველიანი თავსაბური პანამა, რომელიც პალმის ბოჭკოსაგან მზადდება, ახლა მთელ მსოფლიოშია გავრცელებული. ასეთი თავსაბური პირველად ცენტრალური ამერიკის პატარა სახელმწიფო პანამაში დაამზადეს.

ქაშმირი (ქიშმირი) მატყლის თხელი და რბილი ქსოვილია. ეს სახელწოდება მან ინდოეთის ჩრდილოეთით მდებარე ქაშმირის პროვინციისაგან მიიღო.

რი წყლებისა და ბევრი სხვა სახის სასმელის სახელწოდება. მაგალითად, საფრანგეთში არის ქალაქი კონიაკი, საიდანაც დასაბამი მიეცა ამ სამო, სურნელოვანი და არომატული სასმელის წარმოებას...

გეოგრაფიული მხარეებისა თუ ქვეყნების სახელწოდებები ასევე კარგად ჩანს სხვადასხვა სახის ყველის სახელებში. ყველამ ვიცით თუ როგორია თუშური, იმერული, ჰოლანდიური, შვეიცარიული ყველი...

## კენედის ოჯახის ახალი ტრაგედია

ამ რამდენიმე ხნის წინათ, სენატორ ედვარდ კენედის ვაჟს, იგივე ედვარდ უმცროსს, რომელსაც მოფერებით ტედს ეძახიან, ფეხზე კიბოს ნიშნები აღმოაჩნდა. საჭირო გახდა სასწრაფო ქირურგიული ოპერაცია, რომ უფრო შორს არ წასულიყო ავადმყოფობა. მას ცალი ფეხის ამპუტაცია გაუკეთეს, რითაც იხსნეს ბავშვი სიკვდილისაგან. თოთხმეტი დღე დაჰყო მან კლინიკაში, გაუკეთეს ხელოვნური ფეხი, რომელსაც მალე ისე იხმარს, როგორც ნამდვილს.



## დედოფლისგან შერისხული ბიტლსი

ჯონ ლენონი — ბიტლსების ვარსკვლავი — დედოფალმა ელისაბედმა ინგლისიდან განდევნა. ჯონ ლენონი დღეს ცხოვრობს ამერიკაში: იგი შეპყრობილია ნოსტალგიით. ძალიან უნდა სამშობლოში დაბრუნება. იბადება კითხვა: რა უშლის ხელს სამშობლოში დაბრუნდეს? საქმე იმაშია, რომ თავის მიწაზე მას ელოდება უეჭველი ციხე, რადგან 1968 წლიდან შემჩნეულია ნარკოტიკების ხმარებაში.

მისი „პატრიოტული" გრძნობები იმითაც არის გამოწვეული, რომ მას და მის ექსტრავაგანტურ მეუღლეს ოკოს არც ამერიკაში ედგომებათ.

თავის ქვეყანას მოწყურებული ბიტლსი ჯონ ლენონი დაუკავშირდა ლუქსემბურგის რადიოს, რომელიც ყოველ საღამოს მეტად პათეტიკური ტონით გადასცემს: „გამოგზავნეთ თქვენი თანხმობა, ჯონს თქვენი დახმარება ესაჭიროება, თუ თქვენ თანახმა იქნებით, ჯონი შეძლებს ინგლისში დაბრუნებას".

დედოფალ ელისაბედს სრულიადაც არ აღელვებს ლუქსემბურგის რადიოს ხმა. მას სხვა მიზეზიც აქვს, რომ გაჯავრებული იყოს ლენონზე. როცა დედოფალმა მოისურვა ოთხი ბიტლსისათვის მიენიჭებინა ბარონეტის წოდება, პირველმა ლენონმა უარყო იგი. თანაც იგი ავტორია იმ სიმღერისა, რომლითაც სოლიდარობას უცხადებს ირლანდიელ სეპარატისტებს დიდი ბრიტანეთის კოლონიალური პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ლუქსემბურგის რადიო იმედს არ ჰკარგავს — თუ მუსიკისა და ლენონის ხელოვნების მოყვარულები მოინდომებენ, ლენონს ინგლისში დააბრუნებენო. ლენონი ემუდარება ელისაბედს — „შემინდე, დედოფალო!"

## სიახლენი მსოფლიო რუკაზე




### კუნძული ნახევარკუნძულად გადაიქცევა

კუნძული სიცილია, როგორც ცნობილია, აპენინის ნახევარკუნძულისაგან მესინის სრუტით არის გამოყოფილი.

მესინის სრუტეზე გიგანტური ხიდის მშენებლობა დაიწყო. საქმე იმაშია, რომ ცენტრალური იტალიიდან სამხრეთით წამოსული ტურისტების დიდი ნაწილი სიცილიამდე ვეღარ აღწევენ. მათ დაბრკოლებად ეღობება მესინის სრუტე. სრუტის გამტარიანობა უმნიშვნელოა. არსებული ბორანი და სხვა სანაოსნო საშუალებანი ვერ უზრუნველყოფენ მანქანებითა და ფეხით დაძრულ ტურისტთა დაუსრულებელი ნაკადის სრუტეზე გადაყვანას.

ხიდი, რომელიც მესინის სრუტეზე შენდება, მსოფლიოში ყველაზე გრანდიოზული იქნება. მისი სიგრძე დაახლოებით 3,5 კილომეტრს მიაღწევს. ხიდის ქვეშ თავისუფლად იმოძრავებენ საოკეანო გემები. ორსართულიანი ხიდის ქვედა ნაწილში ელექტროფიცირებული რკინიგზა გაივლის, ზედა სართულზე კი, ფეხით მოსიარულეებთან ერთად, რვა რიგად გაივლიან ავტომანქანები.

კონტინენტთან ხიდით დაკავშირებული კუნძული სიცილია სულ მალე ნახევარკუნძულად გადაიქცევა.

საინტერესო ამბების საქვეყნოდან

გოიას მძიმე ავადმყოფობა სტანჯავდა.

საშინელი დეპრესია პირველად 1778 წელს გადაიტანა, როცა იგი ოცდაათი წლისა იყო. დაახლოებით სამ წლამდე იტანჯებოდა ავადმყოფობით, შემდეგ გამოკეთდა და მისთვის დამახასიათებელი დაუცხრომლობით ეკვეთა სამუშაოს. მაგრამ ათი წლის შემდეგ უფრო ცუდად გახდა: დაუდამბლავდა მარჯვენა მხარე, დაკარგა წონასწორობის გრძნობა, სმენა, მეტყველებაც და... მხედველობა. გამორჩენამდე გოიას ხშირად აწუხებდა თავბრუსხვევა, ჰალუცინაციები და გულყრა. შემოქმედებას მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ დაუბრუნდა.

სულ ცოტა ხნის წინათ ნიუ-იორკის უნივერსიტეტის ბრუკლინის სამედიცინო ცენტრის ექიმმა უილიამ ნიდერლანდმა სათანადო მონაცემების საფუძველზე წამოაყენა ჰიპოთეზა.

დიდი ესპანელი მხატვრის სურათების ქიმიურმა ანალიზმა ნიდერლანდი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ გოია რუხი ტონების მრავალფეროვნებისა და ბრწყინვალებისათვის, რითაც განსხვავდება მისი პალიტრა, საღებავებიდან ყველაზე მეტად ხმარობდა ძლიერ მომშხამავ ტყვიაკარბონატს.

მაშ, როგორ იცავდნენ თავს გოიას თანამედროვე სხვა მხატვრები? ისინიც, რომელთაც არ იცოდნენ მოსალოდნელი საფრთხე, საღებავებს ხელით ურევდნენ, მათ შორის მომწამლავსაც. როგორც გოია, ისინიც გამუდმებით ისუნთქავდნენ მის ორთქლს. პირველ ყოვლისა, უნდა ვიფიქროთ, რომ იქნებ გოიას მიდრეკილებაც კი ჰქონდა ასეთი ავადმყოფობისაკენ; მეცნიერთათვის ახლა ცნობილია ასეთი შემთხვევები. მეორეც — დიდი მხატვარი არაჩვეულებრივად შრომისმოყვარე და ნაყოფიერი შემოქმედი იყო. დიდ პორტრეტზე მუშაობას სულ რამდენიმე საათს ანდომებდა, ამიტომ იყო, რომ სიცოცხლის ბოლოს 1800 სურათზე მეტი დატოვა.

არაჩვეულებრივი იყო მისი ტექნიკაც. ცნობილმა ფრანგმა მწერალმა თეოფილ გოტიემ დაგვიტოვა ასეთი ცნობა: „მისი მუშაობის მეთოდი ისეთივე ექსცენტრული იყო, როგორც მისი ტალანტი. ტუბებიდან იღებდა რა საღებავებს, მას უსვამდა ღრუბლით, ნეჭის ცოცხით, ჩვრით და ყველაფრით, რაც კი ხელში მოხვდებოდა. შედედებულ საღებავს პირდაპირ გააქანებდა და ტილოს ესროდა. შემდეგ რაღაც თავისებურად, ცერით გაჰყავდა შტრიხები."

ყველა ამ ცნობამ ნიდერლანდი მიიყვანა დასკვნამდე: „სწორედ ხატვის ასეთი დაუჯერებელი სისწრაფის უნარით გოია განწირული იყო, რადგან იგი უფრო ინტენსიურად ყლაპავდა და ისუნთქავდა ხმარებულ ტოქსიკურ მასალას".

მხატვარს, რა თქმა უნდა, შეეძლო თავს გაფრთხილებოდა. გოიამდე ბევრად ადრე, XVIII საუკუნის დასაწყისში, პადუაში (იტალია) პროფესიულ დაავადებათა მამამთავარი, ექიმი ბერნარდინო რამაძინი წერდა: „თითქმის ყველა მხატვარი, რომელთაც ვიცნობდი, დაავადებული იყო იმ მასალებისაგან, რომლებიც შედიოდა საღებავთა შემადგენლობაში და რომელთაც მუდამ ხელებით ურევდნენ, იყნოსავდნენ". ასეთი სიფრთხილის საჭიროება გოიას კიდეც რომ სცოდნოდა, ისეთი ხელოვანი, როგორიც იგი იყო, შეუძლებელი იქნებოდა მისი შეჩერება.

მეორე მხრივ, ექიმი ნიდერლანდი ვარაუდობს იმასაც, რომ სწორედ ავადმყოფობის სიმპტომთა უკიდურესობას შეეძლო რაღაცნაირად გაეგრძელებინა სიცოცხლე მხატვრისათვის. მძიმე შეტევებმა არაერთხელ აიძულეს გოია შეეწყვიტა დაუმთავრებელი სურათების ხატვა, დროებით წყდებოდა მომშხამავი საწამლავის ზემოქმედებაც. მაგრამ შეუჩერდებოდა თუ არა ავადმყოფობა, კვლავ გამმაგებით განაგრძობდა ხატვას.

ამგვარად, იქნებ ტყვიაც იყო მიზეზი იმ ტანჯვისა, რომელიც „კაპრიჩოს" ავტორმა გადაიტანა.



ასეც ხომ არ ხატავდა?

# ყველა დროის საუკეთესო მოკრივე



ყველა დროის საუკეთესო მოკრივედ ითვლება მსოფლიოს თორმეტგზის აბსოლუტური ჩემპიონი ჯო ლუისი.. „ყავისფერმა ყუმბარმშენმა" ბედი ჯერ მოყვარულთა ასპარეზზე სცადა. ორმოცდათოთხმეტი შეხვედრიდან წააგო მხოლოდ ოთხი, ორმოცდასამი მოწინააღმდეგე ნოკაუტით დასცა. პროფესიული შეხვედრებიდან (34 ბრძოლა) ოცდარვა ნოკაუტით მოიგო.

ჯო ლუისი გამოირჩეოდა ყველა მოკრივესაგან თავისი მძაფრი შეტევით და საოცარი თავდაცვის უნარითაც. ჯო ლუისის სიმაღლე — 183,5 სმ. წონა — 93 კგ.

ჯო ლუისმა ერთხელ წააგო ბრძოლა, რომელიც დღესაც ახსოვთ მოკრივეებს.

აი, როგორ იხსენებს მაქს შმელინგი ამ დაუვიწყარ ბრძოლას.

„იანკის სტადიონი, რომელიც ოთხმოცდაათ ათას კაცს იტევდა, გავსებული გახლდათ გულშემატკივრებით, ამ მატჩისადმი ძალიან დიდი ინტერესის გამო.

ვიდრე რინგამდე მივაღწევდი, კინაღამ დამაყრუა ხალხის ღრიალმა... ერთნი მომძახოდნენ:

— რამდენ რაუნდს გაუძლებ?

სხვები ტაშს მიკრავდნენ — ყოჩაღ! რომ გაბედე და რინგზე გამოხვედიო.

დაიწყო მონაწილეთა წარდგენა.

მე მშვიდად ვიდექი რინგის შუაგულში, როცა ჯომ კატასავით ისკუპა თავისი კუთხიდან. ვცდილობდი, ამეწყო ბრძოლა. მარცხენა ხელით ვიფარავდი თავს, დროდადრო მარჯვენას ვიქნევდი, ლუისი მიტევდა, მაგრამ არც ერთხელ ხეირიანად არ დაურტყამს. მეორე რაუნდში ძლიერად დავარტყი სხეულის არეში, ამის საპასუხოდ მთელი სერია მომაყარა. მერე მარცხენა პირდაპირ თვალში მომახვედრა, სულ „ნაპერწკლები ვყარე". ვითმენდი და მომენტს ვუცდიდი შური მეძია. მეორე რაუნდმა გამიმართლა. ნიკაპში ვუთავაზე მთელი ძალით. ლუისი გაბრუვდა, ახლა კი დაინტერესდა ჩემით საზოგადოება და ტაშით დამაჯილდოვეს. დარბაზში ღრიალებდნენ, სტვენდნენ. ლუისი მირტყამდა გამეტებით, მაგრამ უშედეგოდ. მესამე რაუნდის დასაწყისში ისევ ნიკაპში მოვახვედრე ლუისს. იგი გაურბოდა ჩემს დამაგვირგვინებელ დარტყმას. ფრთხილად ვიყავი, საპასუხო დარტყმის მეშინოდა. ერთი მაინც მომხვდა. ჯო ლუისს გამანადგურებელი დარტყმა ჰქონდა, თითქოს მორი დამეცა თავზე, დავბარბაცდი, ლუისი აღარ მაძლევდა გასაქანს. გამიჭირდა, თავს ძლივს ვიცავდი. დავკარგე კონტროლი. ვბრაზობდი საკუთარ თავზე, ოფლი და ცრემლი ერთმანეთში აილესა, მაგრამ ჩემთვის მაინც დღესავით ნათელი იყო: მე უნდა გამემარჯვა. ლუისი კი განაგრძობდა შეტევას. მეოთხე რაუნდში ისე სწრაფად ამოქმედდა, მუშტების აციალებას ველარ ვასწრებდი. ამასთან ჩემს თავს ჩავაგონებდი, არ მეჩქარა. წინ თერთმეტი რაუნდი მქონდა. საკმაოდ დიდი დრო ანგარიშის გასასწორებლად. ერთ-ერთი მანევრირების დროს ლუისს განზრახვას მივუხვდი. რინგის კუთხეში მომინდომა მიმწყვდევა. ალბათ იქ აპირებდა წერტილის დასმას. ამიტომაც არ მივეცი ახლოს მოსვლის საშუალება. ამ დროს გამახსენდა დოკ კესეის რჩევა. ლუისი ვაიძულე ისეთი დგომი მიეღო, როგორიც მე ხელს მაძლევდა და მთელი ძალით დავარტყი. ლუისი დაბარბაცდა. ნაბიჯი აერია. აღარ ვაცალე გონს მოსვლა და რამდენიმეჯერ მოვუნაცვლე. ველარ გაუძლო დარტყმებს და ძირს დაენარცხა. მერე ისევ წამოდგა, მეხუთე რაუნდამდე გააფთრებით მესხმოდა თავს, მე მარჯვენათი ვიგერიებდი. ამან თავისი შედეგი გამოიღო. ლუისი დარეტიანდა, მაგრამ ჯერ კიდევ იდგა ფეხზე. ორთავეს მაგრად მოგვხვდა. მე თვალი გამომივარდა, ლუისს — მთელი სახე გაუსივდა. რაუნდის ბოლოს მას სეკუნდანტები მიეშველნენ და ძლივს მიიყვანეს თავის კუთხემდე. ასეთ ყოფაში გახლდათ ლუისი და მაინც ძალუძდა ბრძოლა ერთი დარტყმით დაემთავრებინა. ვიცოდი ეს და მთელი მეექვსე რაუნდი ვფხიზლობდი. მეშვიდე რაუნდში ლუისი თითქოს გამოცოცხლდა. რამდენიმეჯერ ისე ძლიერად დამარტყა, მეგონა, დადგა ჩემი აღსასრულიმეთქი. მერვე რაუნდში კი მოიჩვარა, ძალა გამოეცალა მკლავში. იდგა და უაზროდ იქნევდა ხელებს ჰაერში. ხალხის სასაცილო გახდა. მთელი დანარჩენი ორი რაუნდის განმავლობაში გაკვირვებული ვიყავი. ველარ გამეგო, როგორღა იკრეფდა ღონეს. ლუისი თუ არა, სხვა ვერავინ გაუძლებდა ასეთ ბრძოლას. ეს უკვე მოკრივე კი არა, ცოცხალი სავარჯიშო ტომარა იყო. ლუისი ვეღარაფერს ხედავდა, ვეღარც მპასუხობდა. ფეხზე კი იდგა ჯერჯერობით, ბოლოს დავუმიზნე და მარჯვენა პირდაპირ გავიქნიე, ლუისი უკან გავარდა, მივირბინე და ერთხელ კიდევ დავარტყი. ლუისი მოწყდა და ძირს დაეცა. რეფერი დონოვანმა დათვალა ცხრა და წარმოთქვა „აუტი". დადგა ჩემი გამარჯვების წამი, უცხო ქვეყანაში ისე ვიგრძენი თავი, როგორც საკუთარ სახლში, ეს იყო ჩემი უდიადესი ბრძოლა.

თარგმანი ე. გიორგაძისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ერთდროულად ჩაწერეს ქალაქის ხმაური, პოლიციელების სასტვენის ხმა, მეტროპოლიტენის მატარებლების გრუხუნი, რევოლვერის სროლის ხმა.

გრამფირფიტები სხვადასხვა ქალაქებისა და სოფლების მცხოვრებლებს დაურიგეს.

გამოკითხულთა უმრავლესობამ განაცხადა, რომ გრამფირფიტაზე ჩაწერილი იყო... თანამედროვე ამერიკული მოდური მუსიკა.



— არგენტინაში, ადგილობრივი პრესის ცნობით, გასული წლის 11 თვეში 27 უცხოელი ტურისტი და ბიზნესმენი გაიტაცეს. მათი გამოსყიდვა ახლობლებს 20 მილიონი დოლარი დაუჯდათ...

გაზეთ „ჯორნელ ოფ კომერსის“ (აშშ) ცნობით, ყველა კონტინენტზე გალებულმა საერთო გამოსასყიდმა თანხამ შარშან 400 მილიონ დოლარს მიაღწია.

## უდღეური რეკორდსმენი

ინგლისის ქალაქ სტეპლფორდის მკვიდრმა ოცდაორი წლის მაიკლ უოკერმა სანაძლეოს მოსაგებად სულმოუთქმელად გამოსცალა ერთი ბოთლი უმაგრესი რომი.

გონებადაბინდული ახალგაზრდა საავადმყოფოში მიიყვანეს. მაიკლ უოკერის სისხლის შემადგენლობაში ნახევარ პროცენტამდე ალკოჰოლი აღმოჩნდა.

„ეს ხომ მსოფლიო რეკორდია!“ შესძახა გაოცებულმა ექიმმა.

„რეკორდსმენმა“ გამარჯვება ვეღარ იზეიმა: იგი ალკოჰოლისაგან მოწამვლით გარდაიცვალა.



## პრიზი ქურდობისათვის

როგორც დასავლეთგერმანული გაზეთები იუწყებიან, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თვითმომსახურების მაღაზიებში ქურდობა „სპორტის ნაციონალურ სახეობად“ გადაიქცა.

უკანასკნელი ათი წლის მანძილზე დასავლეთ გერმანიაში ყველა სხვა სახის დანაშაული 45 პროცენტით გაიზარდა, თვითმომსახურების მაღაზიებში ჩადენილი ქურდობა კი ამ ხნის განმავლობაში 300 პროცენტით გაიზარდა. მაღაზიების მფლობელთა ზარალმა რამდენიმე მილიარდი მარკა შეადგინა.

მიუნხენში, მაგალითად, პოლიციამ გამოავლინა მრავალი მოსწავლე, რომლებიც ერთმანეთს შორის შეჯიბრებას აწყობდნენ ქურდობაში. „გამარჯვებულისათვის“ სპეციალური პრიზი იყო დაწესებული.

მიღებული მკაცრი ზომების მიუხედავად, ჯერჯერობით დამნაშავეთა მხოლოდ 5 პროცენტის შეპყრობა თუ ხერხდება.

## რეკორდსმენები

ბრაზილიაში მრავალშვილიანობის რეკორდსმენებად ითვლებიან ცოლქმარი კარნაუბები, რომლებიც დედაქალაქის ერთ-ერთ გარეუბანში ცხოვრობენ.

კარნაუბებს ამჟამად 26 შვილი ჰყავთ (ექვსი შვილი მოუკვდათ). მათი ოჯახი — სიძეების, რძლებისა და შვილიშვილების ჩათვლით, 80 სულისაგან შედგება.

კარნაუბების უფროსი ვაჟიშვილი ფირმინო 37 წლისაა. მას ჯერჯერობით ექვსი შვილი ჰყავს.



## „ჰუმანიზმი“

ინგლისში უპატრონო ძაღლებისა და კატებისათვის გახსნილია ასობით სპეციალური სახლი, რომლებსაც უამრავ ფულს სწირავენ კერძო პირები და საქველმოქმედო ორგანიზაციები.

ერთ-ერთი ასეთი დაწესებულების მმართველმა კენ ტეილორმა განაცხადა:

— ჩვენ ბევრი ფული გვაქვს. ეს ფული მხოლოდ ძაღლებისა და კატების საუკეთესო კვებისათვის უნდა გამოვიყენოთ. თუ ჩვენ განვაცხადებთ, რომ ფულის ნაწილი გვინდა მოხუცებსა და უსახლკარო მათხოვრებს მოვახმაროთ, შემოწირული თანხა მნიშვნელოვნად შემცირდება.

სიტყვამ მოიტანა და უნდა აღვნიშნოთ, რომ ინგლისში ამჟამად 1,5 მილიონი უმწეო მოხუცებული და 100 ათასი უსახლკარო მათხოვარი ცხოვრობს.



## საინტერესო ექსპერიმენტი

ამერიკელ ფსიქოლოგთა ჯგუფმა ამას წინათ საინტერესო გამოკითხვა-ექსპერიმენტი ჩაატარა:

მეცნიერებმა გრამფირფიტაზე



## ესეც ბიზნესია

ადამიანის გატაცება — გამოსასყიდი თანხის მიღების მიზნით, ფართოდ გავრცელდა დასავლეთის ქვეყნებში. მაგალითად, იტალიაში უკანასკნელ წლებში რეგისტრირებულია გატაცების 400 შემთხვევა.

ნაირ-ნაირი

გადაეცა ასაწყობად 7 III-74 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 26 III-74 წ., ქაღალდის ზომა 70×108¹/₈, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 2,5, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 3,5, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,9, ტირაჟი 55.300, შეკვ. 978, უე 01692, ფასი 30 კაპ.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

რედაქციის მისამართი:

380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42.
ტელ. — მთ. რედაქტორის — 99-54-66, პ/მგ. მდივნის — 99-82-69, განყოფილებების — 93-28-42, 99-01-39.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

# კაკალ გულში

ეროვნული ბიბლიოთეკა




უსიტყვოდ

მურთაზ აბაშიძე



— კაცო, სამ კილოს მაკლებ?
— რა ვქნა, ბატონო, ოცი წელი მაღაზიაში ვმუშაობდი.



— თუ აქამდე ამოაღწია, მაშინვე ჩაგასესხებ ამ ერთ ვედრო ცხელ წყალს.



„დროშის" № 3-ში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხი

ჰორიზონტალურად: 7. რემარკი. 8. გერმანი. 10. ზვავი. 11. ათენა. 12. ნესვი. 13. სიდნეი. 15. აპათია. 17. დასავლეთი. 18. პარტია. 21. ნათურა. 23. გნოლი. 24, მატჩი. 26. მაზრა. 27. ალერგია. 28. ესენცია.

ვერტიკალურად: 1. გვადი. 2. ქიმია. 3. „მერანი". 4. ეკრანი. 5. ბელგია. 6. ანკესი. 9. ექსკავატორი. 14. ეკალი. 16 პითია. 19. არტალა. 20. აგონია. 21. ნილოსი. 22. რეზაიე. 25. იარდი. 26. მენიუ.

# კროსვორდი

ჰორიზონტალურად: 5. ინგლისელი ფიზიკოსი. 7. იმპრესიონისტი მხატვარი. 8. სამოქალაქო ომის ლეგენდარული გმირი. 9. აღორძინების ხანის ფერმწერი. 12. მდინარე საქართველოში. 14. XX ს. ფრანგი მწერალი 16 ნახევარკუნძული ამერიკის კონტინენტზე. 18. ხელოვნების ერთ-ერთი დარგის ნაწარმოები. 19. ქართველი მწერალი 20 მეფედ კურთხევა. 21. ლინგვისტური ტერმინი; 22. სიტყვათა წარმოთქმის მანერა. 24. სიგრძის ერთეული. 26 ლიტერატურული ჟანრი. 30. თევზის სახეობა. 31. ფრანგული კონცერნი. 32. არქიტექტურული ნაგებობა. 33 გულშემატკივრები ბრაზილიაში.

ვერტიკალურად: 1. სულიერი მღელვარება. 2. სალექსო ფორმა 3 ა. პუშკინის მოთხრობა „გასროლის" პერსონაჟი. 4. მწვანილი. 6 მუსიკალური ნაწარმოები. 10. მრავალხმიანობა. 11 საზოგადოებრივი წყობილების წარმოებითი ურთიერთობა. 13. ემილ ზოლას რომანი. 14. სამართლებრივი ტერმინი 15. სახელმწიფო ახლო აღმოსავლეთში. 17. მოწოდება. 23. ოლიმპიური ჩემპიონი ტანვარჯიშში 25. უკუგანვითარება. 27. აღმოსავლური ლექსის სახეობა. 28. კიბერნეტიკული მანქანა. 29. გერმანელი იდეალისტი ფილოსოფოსი



გ. თოიძე. ხევსურეთი.

ИНДЕКС 76055

ეროვნული ბიბლიოთეკა